

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 77 2011 წლის 15 თებერვალი ქ. თბილისი**

**2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო
პროგრამების დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „კ“ ქვე-პუნქტის გათვალისწინებით:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები.

მუხლი 2. ამ დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა ფარგლებში ვაუჩერის პირობებით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები გაგრძელდეს „ჯანმრთელობის დაცვის იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც, სახელმწიფოს მიერ 2010 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2011 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N442/ნ ბრძანების (შემდგომში დანართში – უწყვეტობის ბრძანება) შესაბამისად.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელმწიფო პროგრამების მიზანი

2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების (შემდგომში – პროგრამა) მიზანია მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

მუხლი 2. პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები

პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებენ:

- ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო);
- ბ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო;
- გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. სა-ყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- დ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

მუხლი 3. პროგრამების დაფინანსება, ანგარიშსწორება და კონტროლი

1. პროგრამებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების დაფინანსება ხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, თუ ცალკეული პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. პროგრამების ადმინისტრირება (მართვა, ზედამხედველობა, ინსპექტირება და კონტროლი) ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) მიერ დამტკიცებული წესისა და პირობების შესაბამისად. აღნიშნული ბრძანება ასევე შეიძლება ადგენდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სხვა დამატებითი პირობებს (მათ შორის, მოთხოვნებს, ნორმებს და ა.შ.) საქონლის ან მომსახურების მიმართ. *11.03.2011 N 117*

თავი II. სამედიცინო ვაუჩერის პირობები

მუხლი 4. სამედიცინო ვაუჩერი

1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის გათვალისწინებით, სამედიცინო ვაუჩერი წარმოადგენს შესაბამისი პროგრამის მოსარგებლეებისათვის მომსახურების ანაზღაურების ფინანსურ ინსტრუმენტს.

2. ვაუჩერი შეიძლება იყოს მატერიალიზებული ან არამატერიალიზებული.

3. მატერიალიზებული ვაუჩერის შემთხვევაში ვაუჩერის ფორმას შეიძლება დაემატოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მატერიალიზებული ვაუჩერების ბეჭდვას და გაცემას სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ადმინისტრაციულ ასიგნებათა ფარგლებში.

მუხლი 5. სამედიცინო ვაუჩერით მომსახურების მიმწოდებლები და სამედიცინო ვაუჩერით მოსარგებლეები

1. იმ პროგრამის (კომპონენტის/ქვეკომპონენტის) ფარგლებში, რომელშიც გათვალისწინებულია საქონლის/მომსახურების დაფინანსება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით (შემდგომში – ვაუჩერული პროგრამა), საქონლის/მომსახურების მიმწოდებელი (შემდგომში – მიმწოდებელი) შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, თუ შესაბამისი პროგრამით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. ეს დადგენილება, აგრეთვე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტები (მათ შორის, ადმინისტრირების წესი) და მიმწოდებლის წერილობითი დასტური შესაბამის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და, შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან (მათ შორის, ვაუჩერის ღირე-ბულების ანაზღაურების კუთხით).

3. სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლეა ფიზიკური პირი (შემდგომში – ვაუჩერის მოსარგებლე).

4. ვაუჩერის მოსარგებლეს უფლება აქვს შესაბამისი სამედიცინო ვაუჩერით გათვალისწინებული საქონელი/მომსახურება მიიღოს პროგრამის ნებისმიერი მიმწოდებლისგან.

5. სამედიცინო ვაუჩერის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურე-ბის/საქონლის ხარჯების დაფინანსებას ახდენს პროგრამის განმახორციელებელი ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა დამატებითი საკითხები შესა-ძლებელია დარეგულირდეს მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 6. ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებლის უფლებები და მოვალეობები

1. ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ვაუჩერის მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების/საქონლის მიწოდება, ყოველგვარი ბარიერებისა და დისკრიმინაციის გარეშე. ამასთან, დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ვაუჩერის მოსარგებლისათვის რაიმე მიზეზით პროგრამით გათვალისწინებული მომსახ-რების/საქონლის გაწევაზე უარის თქმა;

ბ) უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლისათვის ანგარიშისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მიწოდება დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს ვაუჩერის მოსარგებლის მომსახურება ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შესაბამისად;

დ) არ მოსთხოვოს პროგრამის განმახორციელებელს და ვაუჩერის მოსარგებლეს მომსახურების ღირებულების გარდა სხვა გადასახადი ან დამატებითი თანხის გადახდა, ხოლო პროგრამის ფარგლებში მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის შემთხვევაში – თანაგადახდით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი;

ე) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი არასწორად მიღებული დაფინანსების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება, აგრეთვე აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე დადგენილი საჯარიმო სანქციების შესრულე-ბა აღიარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა;

ვ) საჯარიმო სანქცი(ებ)ის დაკისრების მიუხედავად, გაუწიოს ვაუჩერის მოსარგებლეს მომსახურება ან მიაწოდოს საქონელი სრულფასოვნად და ამ დადგე-ნილებით განსაზღვრული პირობებით.

2. მიმწოდებელი უფლებამოსილია პროგრამის განმახორციელებლისგან მოითხოვოს გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის დროული ანაზღაურება დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. ვაუჩერული პროგრამის განმახორციელებლის უფლებები და მოვალეობები

1. ვაუჩერული პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებელს გაწეული მომსახურება/მიწოდებული საქონელი დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

2. ვაუჩერული პროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, მათ შორის, მოსარგებლის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პირადი, სამედიცინო და ფინანსური ინფორმაცია;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს კონტროლის (ინსპექტირების) საფუძველზე გამოვლენილი არასწორად მიღებული დაფინანსების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება და დაკისრებული საჯარიმო სანქციების გადახდა;

გ) აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე დააკისროს მიმწოდებელს საჯარიმო სანქციები დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. საჯარიმო სანქციები ვაუჩერულ პროგრამაში

1. გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს შემდეგი სახის საჯარიმო სანქციები:

ა) ანაზღაურებაზე უარი;

ბ) დამატებითი ფინანსური ჯარიმა.

2. დაუშვებელია, მიმწოდებელმა ვაუჩერის მოსარგებლეს მოსთხოვოს იმ მომსახურების ანაზღაურება, რომელიც პროგრამის განმახორციელების მხრიდან არ იქნა ანაზღაურებული საჯარიმო სანქციის დაკისრების გამო.

3. საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებულ დამატებით პირობებს განსაზღვრავს მინისტრი.

მუხლი 9. ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებლის სტატუსის გაუქმება

ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მომსახურების მიმწოდებელ პირს გაუქმოს მიმწოდებლის სტატუსი:

ა) თუ არსებობს მიმწოდებლის მხრიდან პროგრამის განხორციელების წესებისა და პირობების მრავალჯერადი და მნიშვნელოვანი დარღვევების ფაქტები;

ბ) თუ მიმწოდებლის მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევა ეწინააღმდეგება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

დანართი N1

ფსიქიკური ჯანმრთელობა (ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 01)

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ფსიქიატრიულ მომსახურებაზე საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის ამბულატორიული და სტაციონარული კომპონენტის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები.

2. მე-3 მუხლის „ბ.ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეკომპონენტის ფარგლებში არანებაყოფლობითი სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში“ მყოფი სხვა პირები იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

ა) ამბულატორიულ მომსახურება:

ა.ა) ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება მოიცავს:

ა.ა.ა) ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის მიმართებით გადაგზავნილი პაციენტების მომსახურებას: (1) პირველადი ვიზიტი ფსიქიატრიულ დისპანსერში; ხოლო (2) იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება პაციენტის მისვლა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ფსიქიატრის ან ფსიქიატრიის დარგის სხვა მუშაკთა (საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“) ვიზიტი პაციენტთან ბინაზე; (3) დანართი – 1.1-ით გათვალისწინებული ნოზოლოგიების დადასტურებისა და პაციენტის სურვილის შემთხვევაში, პაციენტის ამბულატორიულ მეთვალყურეობაზე აყვანა;

ა.ა.ბ) აღრიცხვაზე აყვანილი და ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულების მიმართებით გაგზავნილი პაციენტების მომსახურება დანართი – 1.1-ით განსაზღვრული ნოზოლოგიების გათვალისწინებით: (1) ვიზიტები ექიმ-ფსიქიატრთან, ან საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრიის დარგის სხვა მუშაკებთან (საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“); (2) ექიმ-ფსიქიატრის დანიშნულების მიხედვით მედიკამენტებით უზრუნველყოფა; (3) საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრიის დარგის მუშაკთა ვიზიტები ბინაზე; (4) საჭიროების შემთხვევაში სხვა ექიმი-სპეციალისტების კონსულტაცია (თერაპევტი და ნევროლოგი);

ა.ბ) ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, სტანდარტების შესაბამისად (მინისტრის ბრძანება N#112/6 02.04.2007“ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ”);

ა.გ) ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა ითვალისწინებს მომსახურებას დღის სტაციონარში ემოციური და ქცევითი აშლილობების მქონე 18 წლამდე ასაკის პაციენტებისთვის, რომელთაც აღენიშნებათ ფსიქიკური მდგომარეობის და ქცევის ცვლილება, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება და დეზადაპტაცია, დანართი – 1.2-ით განსაზღვრული ნოზოლოგიების გათვალისწინებით;

ბ) სტაციონარული მომსახურება:

ბ.ა) მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება მოიცავს ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების მქონე პაციენტთა სტაციონარულ მომსახურებას 15 წლის ასაკიდან (“ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ” მინისტრის 2007 წლის 20 მარტის N#87/6 ბრძანების საფუძველზე), კერძოდ:

ბ.ა.ა) მოკლევადიანი სტაციონარული მომსახურება, რომელიც გულისხმობს მწვავე ფსიქოზური სიმპტომებით მიმდინარე მდგომარეობების კუპირებას (დაყოვნება 2–დან 8 კვირამდე);

ბ.ა.ბ) გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურება, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, მოკლევადიანი სტაციონარული დახმარების შემდგომი მკურნალობის გაგრძელებას ან იმ პაციენტთა მკურნალობას, რომელთა სტაციონარგარეშე დახმარება ვერ ხერხდება ფსიქო-სოციალური ფუნქციონირების უხეში დარღვევების გამო;

ბ.ა.გ) იმ პაციენტების მკურნალობა, რომელთა მიმართაც არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ;

ბ.ა.დ) დამატებითი მომსახურება: იმ პაციენტების დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელთა მიმართაც არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ;

ბ.ა.ე) იმ პაციენტების კვებით და პირადი ჰიგიენის საგნებით უზრუნველყოფა, რომლებიც გადიან სტაციონარულ მომსახურებას (ძალაშია 2011 წლის 20 ივნისამდე); (14.06.2011 N 240)

ბ.ა.ე¹) იმ პაციენტების კვებით, პირადი ჰიგიენის საგნებითა და გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა, რომლებიც გადიან სტაციონარულ მომსახურებას (ძალაშია 2011 წლის 20 ივნისიდან); (14.06.2011 N 240)

ბ.ა.ვ) სარეაბილიტაციო მომსახურება გრძელვადიანი სტაციონარული მკურნალობის დროს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების შესაბამისად;

ბ.ბ) ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება, რომელიც მოიცავს 15 წლამდე ასაკის ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების მქონე პაციენტთა მომსახურებას;

ბ.ბ.ა) იმ პაციენტების კვებით და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფას, რომლებიც გადიან სტაციონარულ მომსახურებას;

ბ.ბ.ბ) სარეაბილიტაციო მომსახურებას გრძელვადიანი სტაციონარული მკურნალობის დროს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების შესაბამისად;

ბ.გ) პაციენტთა ურგენტული სამედიცინო მომსახურება, რომელიც მოიცავს მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელ ფსიქიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებებში ყოფნის დროს პაციენტთა გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას მოსახლეობის ურგენტული დახმარების პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიური კოდების ფარგლებში; (14.06.2011 N 240)

ბ.დ) ფსიქოპატიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება დანართი – 1.3-ის შესაბამისად;

გ) ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია მოზრდილთათვის (18 წლიდან და ზემოთ), რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პირების მომსახურებას დანართი – 1.4-ის შესაბამისად ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში;

გ.ა) ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია (კრიზისული დღის საწოლები) გულისხმობს ინტენსიურ ამბულატორიულ დახმარებას კრიზისული მდგომარეობების დროს;

გ.ბ) გადაუდებელი ამბულატორიული კონსულტაციები დღის ცენტრში;

გ.გ) შინმოვლის კრიზისული მობილური ჯგუფის მიერ კრიზისული ინტერვენციის განხორციელებას პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე და, საჭიროების შემთხვევაში, მის გადაყვანას კრიზისულ ცენტრში, ან სხვა შესაფერის ფსიქო-სოციალურ/ფსიქიატრიულ მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში.

დ) ქ. თბილისში, ქ. რუსთავსა და ქ. ქუთაისში ფსიქიკური სტაციონარული დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება: (14.06.2011 N 240)

დ.ა) მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება მოიცავს ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების მქონე პაციენტთა სტაციონარულ მომსახურებას 15 წლის ასაკიდან („ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2007 წლის 20 მარტის №87/ნ ბრძანების საფუძველზე), კერძოდ:

დ.ა.ა) მოკლევადიანი სტაციონარული მომსახურება, რომელიც გულისხმობს მწვავე ფსიქოზური სიმპტომებით მიმდინარე მდგომარეობების კუპირებას;

დ.ა.ბ) გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურება, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, მოკლევადიანი სტაციონარული დახმარების შემდგომი მკურნალობის გაგრძელებას ან იმ პაციენტთა მკურნალობას, რომელთა სტაციონარგარეშე დახმარება ვერ ხერხდება ფსიქოსოციალური ფუნქციონირების უბეში დარღვევების გამო;

დ.ა.გ) იმ პაციენტების კვებით, პირადი ჰიგიენის საგნებითა და გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა, რომლებიც გადიან სტაციონარულ მომსახურებას;

დ.ა.დ) სარეაბილიტაციო მომსახურებას გრძელვადიანი სტაციონარული მკურნალობის დროს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება სრულად, გარდა მე-3 მუხლის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა.

2. მე-3 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების (გარდა ამავე მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა) დაფინანსება განხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით გასული წლის საბიუჯეტო ასიგნებების პროპორციის ანალოგიით დანართი – 1.5-ის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის დაფინანსება განხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით, გასული წლის საბიუჯეტო ასიგნებების პროპორციის ანალოგიით, საწოლფონდის ცვლილებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის „ჯანმრთელობის დაცვის იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც, სახელმწიფოს მიერ 2010 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2011 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ №442/ნ ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წელს განხორციელებული დაფინანსების გათვალისწინებით, დანართი 1.6-ის შესაბამისად. (14.06.2011 N 240)

4¹. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ბიუჯეტის პროპორციული გადანაწილება საწოლფონდის ცვლილების მიხედვით განისაზღვრება 2011 წელს რეგიონში დაფიქსირებული საშუალო საწოლდღის ღირებულების (12,68 ლარი) პროპორციულად, დანართი 1.6-ის შესაბამისად. (14.06.2011 N 240)

4². მიმწოდებლებისთვის დანართი 1.6-ის შესაბამისად განსაზღვრული დაფინანსება ერთი თვის ლიმიტის ფარგლებში დღეების მიხედვით პროპორციულად გადანაწილდება იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვაუჩერულ პროგრამაში და მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შეუწყდებათ „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისთვის არსებული ხელშეკრულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან თვის საბიუჯეტო ლიმიტი შეეცვლებათ საწოლფონდის ცვლილების გათვალისწინებით. (14.06.2011 N 240)

5. მე-3 მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. 2011 წლის 20 ივნისამდე მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით: (14.06.2011 N 240)

ა) მომსახურებას უზრუნველყოფს „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მომწოდებლები;

ბ) ანაზღაურება მოხდება სრულად (თანაგადახდის გარეშე) შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს თითოეული მომწოდებლისათვის განსაზღვრული ლიმიტისა;

გ) თითოეული მომწოდებლის ლიმიტი გამოითვლება „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეკომპონენტის ბიუჯეტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტების ფარგლებში არსებული დაფინანსების პროპორციული გადანაწილებით.

6¹. 2011 წლის 20 ივნისიდან მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით: (14.06.2011 N 240)

ა) მომსახურების მოსარგებლეები არიან მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელ სტაციონარულ დაწესებულებაში მკურნალობის პროცესში მყოფი პირები;

ბ) მომსახურება ანაზღაურდება სრულად (თანაგადახდის გარეშე) არამატერიალიზებული ვაუჩერის საფუძველზე მოსახლეობის ურგენტული დახმარების პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიური კოდებისა და დადგენილი ანაზღაურების (ლიმიტების) ფარგლებში, ფაქტობრივი ხარჯისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

7. მე-3 მუხლის „ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული (ფსიქოპაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების ქვეკომპონენტი)

მომსახურება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება ფაქტიური ხარჯის 70%-ით დანართ_1.3-ში მოცემული შემთხვევების ლიმიტების ფარგლებში.

8. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესყიდვა მოხდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9. მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით, კერძოდ: (14.06.2011 N 240)

ა) მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არა უმეტეს ერთი შემთხვევის ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია 840 ლარით;

ბ) მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება თვის ვაუჩერით, რომლის ღირებულებაც განსაზღვრულია 450 ლარით.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მე-3 მუხლის „ა.ა“, „ა.ბ“, „ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დანართი 1.5-ის, დანართი 1.6-ისა და დანართი 1.7-ის შესაბამისად. ამასთან, მე-3 მუხლის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2011 წლის 20 ივნისამდე, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხოლო 20 ივნისიდან – მე-4 მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად. (14.06.2011 N 240)

2. მე-3 მუხლის „ა.გ“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა მოხდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

4. 2011 წლის 20 ივნისიდან მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (14.06.2011 N 240)

5. მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით. (14.06.2011 N 240)

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 10,770.0 ათასი ლარით დანართი – 1.7-ის მიხედვით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. მე-3 მუხლის „ა.ა“, „ა.ბ“, ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლები განსაზღვრულია დანართი – 1.5-ის მიხედვით.

2. მე-3 მუხლის „ბ.ა.“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლები განსაზღვრულია დანართი – 1.6-ის მიხედვით.

3. მე-3 მუხლის „ა.გ“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლები გამოვლინდება ტენდერის შედეგების მიხედვით.

4. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

5. მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულებები ქ. თბილისის, ქ. რუსთავისა და ქ. ქუთაისის

მასშტაბით, რომლებიც ეთანხმებიან ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებენ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს 2011 წლის 21 ივნისამდე. (14.06.2011 N 240)

6. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვაუჩერული მომსახურების მიმწოდებლად სურვილის გამოთქმა ავტომატურად აჩერებს ხელშეკრულებას მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში. (14.06.2011 N 240)

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი – 1.1 – ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებით განსაზღვრული ნოზოლოგიები

N	კოდი (ICD_10)	ნოზოლოგია
1	F00	დემენცია ალცჰაიმერის დაავადების დროს
2	F01	სისხლძარღვოვანი (ვასკულარული) დემენცია
3	F02	დემენცია სხვა თავში მოყვანილი დაავადებების დროს
4	F03	დაუზუსტებელი დემენცია
5	F04	ორგანული ამნეზიური სინდრომი, რომელიც არ არის გამოწვეული ალკოჰოლით ან სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებით
6	F06	ტვინის დაზიანება და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი
7	F07	ტვინის დაზიანებით და დისფუნქციით, აგრეთვე ფიზიკური დაავადებით გამოწვეული პიროვნული და ბიპვეიორული აშლილობები
8	F09	დაუზუსტებელი ორგანული და სიმპტომატური ფსიქიკური აშლილობანი
9	F20	შიზოფრენია
10	F21	შიზოტოპიური აშლილობა
11	F22	ხანგრძლივი ბოდვითი აშლილობანი
12	F23	მწვავე და გარდამავალი (ტრანზიტული) ფსიქოზური აშლილობანი
13	F24	ინდუცირებული ბოდვითი აშლილობა
14	F25	შიზოაფექტური აშლილობანი
15	F28	სხვა არაორგანული ფსიქოზური აშლილობანი
16	F29	დაუზუსტებელი არაორგანული ფსიქოზი
17	F30	მანიაკალური ეპიზოდი
18	F31	ბიპოლარული აფექტური აშლილობა
19	F32	დეპრესიული ეპიზოდი
20	F33	რეკურენტული დეპრესიული აშლილობა
21	F43	რეაქცია მწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები
22	F62.0	კატასტროფის შემდგომი ხანგრძლივი პიროვნული ცვლილებები
23	F70	მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა
24	F71	საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა
25	F72	მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა
26	F73	ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა
27	F78	სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა
28	F79	დაუზუსტებელი გონებრივი ჩამორჩენილობა
29	F80	მეტყველების სპეციფიური აშლილობა
30	F81	სასკოლო ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული სპეციფიური აშლილობანი

31	F82	მოტორული ფუნქციის განვითარების სპეციფიური აშლილობა
32	F83	განვითარების შერეული სპეციფიური დარღვევები
33	F84	განვითარების ზოგადი აშლილობანი
34	F88	ფსიქოლოგიური განვითარების სხვა აშლილობა
35	F89	ფსიქოლოგიური განვითარების დაუზუსტებელი აშლილობანი
36	F90	ჰიპერკინეტიკური აშლილობა (ჰიპერკინეზი)
37	F91	ქცევის აშლილობები
38	F92	ქცევისა და ემოციების შერეული აშლილობანი
39	F93	ემოციური აშლილობები ბავშვებში
40	F94	სოციალური ფუნქციონირების აშლილობა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში სპეციფიური დასაწყისით
41	F95	ტიკები

დანართი – 1.2 – ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპონენტით განსაზღვრული ნოზოლოგიები

N	კოდი (ICD_10)	ნოზოლოგია
1	F 06	თავის ტვინის დაზიანებათა და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი
2	F 40	შფოთვით-ფობიკური აშლილობანი
3	F 41	სხვა შფოთვითი აშლილობანი
4	F 42	ობსესიურ-კომპულსიური აშლილობანი
5	F 43	რეაქცია მწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები
6	F 44	დისოციაციური (კონვერსიული) აშლილობანი
7	F 45	სომატოფორმული აშლილობები
8	F 48	სხვა ნევროზული აშლილობანი
9	F 50	საკვების მიღებასთან დაკავშირებული დარღვევები
10	F 51	არაორგანული ბუნების ძილის დარღვევები
11	F 80	მეტყველების სპეციფიური აშლილობა
12	F 84	განვითარების ზოგადი აშლილობანი
13	F 90	ჰიპერკინეტიკური აშლილობა (ჰიპერკინეზი)
14	F 91	ქცევის აშლილობები
15	F 93	ემოციური აშლილობები ბავშვებში
16	F 94	სოციალური ფუნქციონირების აშლილობა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში სპეციფიური დასაწყისით
17	F 95	ტიკები
18	F 98	სხვა ქცევითი და ემოციური აშლილობანი განვითარებული ბავშვებსა და მოზარდებში

დანართი – 1.3 – ფსიქოპათიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების მოცულობა

კოდი (ICD_10)	მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება
F10.4	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; ალკოჰოლის მდგომარეობა დელირიუმით	835 ლარი

F10.51	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობა; მწვავე ბოდვითი ფსიქიკური აშლილობა	1020 ლარი
F10.52	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობა; ფსიქოზური აშლილობა მწვავე ჰალუცინოზით	790 ლარი
F10.3	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; ალკოჰოლის მდგომარეობა (ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხსნის სინდრომი)	880 ლარი

დანართი – 1.4 – ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციით განსაზღვრული ნოზოლოგიები

N	კოდი (ICD_10)	ნოზოლოგია
1	F60-F69	მოზრდილთა პიროვნული და ქცევითი აშლილობები
2	F20-F29	შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი
3	F31.0	ბიპოლარული აფექტური აშლილობა მიმდინარე ეპიზოდში ჰიპომანიით
4	F31.1	ბიპოლარული აფექტური აშლილობა მიმდინარე ეპიზოდში მანიით, ფსიქოზური სიმპტომების გარეშე
5	F31.3	ბიპოლარული აფექტური აშლილობა მიმდინარე ეპიზოდში მსუბუქი ან ზომიერი დეპრესიული ეპიზოდით
6	F31.4	ბიპოლარული აფექტური აშლილობა მიმდინარე ეპიზოდში მძიმე დეპრესიით, ფსიქოზური სიმპტომების გარეშე
7	F31.5	ბიპოლარული აფექტური აშლილობა მიმდინარე ეპიზოდში მძიმე დეპრესიით, ფსიქოზური სიმპტომებით
8	F32.1	ზომიერად გამოხატული დეპრესიული ეპიზოდი
9	F32.2	მძიმე დეპრესიული ეპიზოდი ფსიქოზური სიმპტომების გარეშე
10	F32.3	მძიმე დეპრესიული ეპიზოდი ფსიქოზური სიმპტომებით
11	F33.1	მიმდინარე ეპიზოდში ზომიერი რეკურენტული დეპრესიული აშლილობა
12	F33.2	მიმდინარე ეპიზოდში მძიმე რეკურენტული დეპრესიული აშლილობა ფსიქოზური სიმპტომების გარეშე
13	F33.3	მიმდინარე ეპიზოდში მძიმე რეკურენტული დეპრესიული აშლილობა ფსიქოზური სიმპტომებით
14	F40	შფოთვით-ფობიკური აშლილობანი
15	F41	სხვა შფოთვითი აშლილობანი
16	F42	ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა
17	F43.0	მწვავე სტრესული რეაქცია
18	F43.1	პოსტტრავმული სტრესული აშლილობა
19	F43.2	ადაპტაციის დარღვევები

დანართი – 1.5 – პროგრამის მე-3 მუხლის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების წლიური ბიუჯეტები (ლარებში) მიმწოდებლის მიხედვით

ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი

თბილისი		806,279
	შპს "თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"	145,130
	შპს თბილისის ა. გოცირიძის სახ. ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	524,082
	სააქციო საზოგადოება "მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი"	96,753
	შპს "აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი"	40,314
აჭარა	შპს "რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური დისპანსერი"	196,029
გურია		161,531
	შპს ოზურგეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	77,535
	ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს "ნევრონი"	83,996
იმერეთი		538,165
	შპს "ქუთაისის ივ. სხირტლაძის სახ. სარაიონთაშორისო ფსიქონევრ. დისპანსერი"	328,281
	შ.პ.ს. ფსიქიატრი-ნარკოლოგი	91,488
	სამტრედიის შპს "ფსიქიატრია"	91,488
	შპს აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	26,908
კახეთი		237,204
	შპს "თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი"	118,602
	შ.პ.ს. "ფსიქონევროლოგი"	118,602
მცხეთა-მთიანეთი	შპს "მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი ჯანმრთელი თაობა"	60,813
სამეგრელო		347,046
	შ.პ.ს. "ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერი"	156,171
	საქართველოს ჯანმ-ისა და სოც. დაცვის სენაკის შპს სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	190,875
სამცხე-ჯავახეთი	შ.პ.ს. ახალციხის სარაიონთაშორისო ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი	83,096
ქვემო ქართლი	შპს "რუსთავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი"	244,247
შიდა ქართლი		159,200
	შპს "ფსიქია"	103,480
	შ.პ.ს. ა. ქაჯაიას სახ. სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო	55,720
	სულ	2,833,610

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტი (წლიური ბიუჯეტი ლარებში)

თბილისი	ააიპ ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია	21,548.0
იმერეთი	შპს "ქუთაისის ივ. სხირტლაძის სახ. სარაიონთაშორისო ფსიქონევრ. დისპანსერი"	24,293.0
კახეთი	შპს "თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი"	24,259.0
	სულ:	70,100.0

დანართი 1.6 – პროგრამის მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების თვის ლიმიტი (ლარებით) მიმწოდებლის მიხედვით: (14.06.2011 N 240)

	თვის ლიმიტი 2011 წლის პირველ აპრილამდე ¹	თვის ლიმიტი 2011 წლის პირველი აპრილის შემდეგ
შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	36,138.00	37,276.45
სააქციო საზოგადოება „მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი“	135,517.00	140,230.45
შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“	44,136.00	45,640.64 (ძალაშია 1 აპრილიდან 20 ივნისამდე)
		62,758.64 (ძალაშია 20 ივნისიდან) ²
ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონი“	4,487.00	4,639.97
შპს „ქუთაისის ივ. სხირტლაძის სახ. სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“	5,832.00	5,731.03
შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	271,273.00	280,820.78
შპს „სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“	4,487.00	4,639.97
შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო“	42,297.00	43,738.95
შპს „ა. ქაჯაიას სახ. სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო“	33,648.00	34,795.10

¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის „ჯანმრთელობის დაცვის იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც, სახელმწიფოს მიერ 2010 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2011 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ №442/ნ ბრძანება.

² საწოლფონდის ცვლილებით გამოწვეული დაფინანსების ცვლილება.

დანართი 1.7 – პროგრამის ბიუჯეტი (14.06.2011 N 240)

კომპონენტი	ღონისძიება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
------------	------------	----------------------

1. ამბულატორიული მომსახურება	ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება	2,833.6
	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	70.1
	ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა	151.0
	სულ:	3,054.7
2. სტაციონარული მომსახურება (მე-3 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებები)	მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება (მე-3 მუხლის „ბ.ა“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება)	7,170.2
	ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	120.0
	ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების მქონე პაციენტთა ურგენტული სტაციონარული მომსახურება	45.0
	ფსიქოპათიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება	144.0
	სულ:	7,479.2
3. ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია	სულ:	236.1
სულ ბიუჯეტი:		10,770.0

დანართი N2

ინფექციური დაავადებების მართვა
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 02

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს დანართი 2.1-ში მოცემული დაავადებების სტაციონარულ მკურნალობას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ნოზოლოგიური ჯგუფისათვის განსაზღვრული ღირებულებისა (დანართი 2.1).

2. პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თანაგადახდის პრინციპის გამოყენებით შემდეგი წესით:

ა) 18 წლამდე ასაკის პირებისათვის თანაგადახდის წილი შეადგენს ფაქტიური ხარჯის 20%-ს (80% იფარება პროგრამის ხარჯებით);

ბ) 18-დან 60 წლამდე ასაკის პირებისათვის თანაგადახდის წილი შეადგენს ფაქტიური ხარჯის 50%-ს (50% იფარება პროგრამის ხარჯებით);

გ) 60 წლის და უფროსი ასაკის პირებისათვის თანაგადახდის წილი შეადგენს ფაქტიური ხარჯის 30%-ს (70% იფარება პროგრამის ხარჯებით);

3. "სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეების მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება სრულად.

4. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა კრიტიკული მდგომარეობების მომსახურება ანაზღაურდება სრულად, თანაგადახდის გარეშე.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი მკურნალობის დასრულებამდე სხვადასხვა მიზეზით (სამედიცინო ჩვენებით ან პაციენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოთხოვნით) გადაჰყავთ პროგრამაში მონაწილე სხვა სამკურნალო დაწესებულებაში, პროგრამით ასანაზღაურებელი თანხა უნდა გაიყოს და გადანაწილდეს თითოეულ სამედიცინო დაწესებულებაში გატარებული დღეების შესაბამისად. ამავე პრინციპით დაფინანსდება ის შემთხვევები, როდესაც კრიტიკული მდგომარეობის მკურნალობა სრულდება პროგრამით გათვალისწინებულ ვადაზე (5 დღე ან 12 დღე) ადრე (მაგ.: პაციენტის სიკვდილი ან მდგომარეობის გაუმჯობესება).

6. დაუშვებელია პროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იგივე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში გამოყენება, გარდა კრიტიკული მდგომარეობებისა

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1,878.4 ათასი ლარით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი (14.06.2011 N 240)

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი – 2.1 – პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და შემთხვევის ღირებულებები

ნოზოლოგია	ღირებულება (ლარი)
ინფექციური	
კრიტიკული (5 დღის ჯამური ლიმიტი)	810

კრიტიკული (12 დღის ჯამური ლიმიტი)	1860
ნაწლავთა ინფექციები	380
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	680
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი-პათოლოგიური პროცესის მაღალი აქტივობით (სპეც-მედიკამენტების გარეშე)	660
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით (სპეც-მედიკამენტების გარეშე)	1100
ნეიროინფექციები (ბაქტერიული)	1050
ნეიროინფექციები (ვირუსული)	680
ანთებითი პოლინეიროპათიები	1600
სხვა ვირუსული ინფექციები	420
სხვა ბაქტერიული ინფექციები	640
დაუზუსტებელი ცხელება-ჰიპერპირექსია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული	880
სეფსისი	
სეფსისი მოზრდილთა	2150
სეფსისი ბავშვთა	870
მძიმე სეფსისი მოზრდილთა	3420
მძიმე სეფსისი ბავშვთა	1700
კრიტიკული-პირველი 3 დღე	1950
ქირურგიული მკურნალობა	3025
უცნობი წარმოშობის ცხელება (R50)	442
პარაზიტოლოგია	
პარაზიტოლოგია (სტაციონარი)	1200

დანართი N3

ტუბერკულოზის მართვა
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 03

მუხლი 1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- ა) ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია;
- ბ) ფთიზიატრიულ დახმარებაზე პროგრამის მოსარგებლეებისათვის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან:

- ა) საქართველოს მოქალაქეები;
- ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელები („უცხოელი“ განიმარტება „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელობით), ასევე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც გამოუვლინდათ ტუბერკულოზი.
- გ) „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში“ მყოფი პირები საიდენტიფიკაციო ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამის ფარგლებში იფარება ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები, გარდა ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებისა, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებენ დონორი ორგანიზაციები:

ა) ამბულატორიული მომსახურება:

ა.ა) სპეციალიზებულ ქსელში (ტუბერკულოზური პროფილის მქონე სამედიცინო დაწესებულება) თვითდინებით მისული, ან პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან მომართული ტუბერკულოზის ყველა საექვო შემთხვევის გამოკვლევა, რომელიც მოიცავს შემდეგ მომსახურებებს: ფთიზიატრის კონსულტაციას, კლინიკო-დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს (ნახველის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა (3-ჯერადი ბაქტერიოსკოპია, კულტურალური გამოკვლევა, წამლებისადმი მდგრადობის განსაზღვრა ჩვენების მიხედვით), რენტგენოლოგიური გამოკვლევა, სისხლის საერთო ანალიზი), ხოლო რთული სადიაგნოსტიკო შემთხვევების დიაგნოსტიკისთვის შეიძლება პაციენტი მიმართულ იქნეს სტაციონარში;

ა.ბ) ტუბერკულოზის დიაგნოზის დადასტურების ან გამორიცხვის შემთხვევაში სპეციალიზებული ქსელიდან ინფორმაციის მიწოდება მიმართულების მომცემ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებას.

ა.გ) ამბულატორიული მკურნალობისას ტუბერკულოზით დაავადებულთა მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ მომსახურებებს:

ა.გ.ა) უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობის განხორციელება (DOT) სპეციფიური ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებით (ინტენსიური და გაგრძელებითი ფაზა). ინტენსიური და გაგრძელებითი მკურნალობა სპეციფიური ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებით უტარდება შემდეგ მოსარგებლებს:

ა.გ.ა.ა) ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს, რომელთაც გამოუვლინდათ ტუბერკულოზის მჟავაგამძლე ბაქტერიაზე დადებითი ფორმა (შემდგომში, მგბ(+)) რომელთაც უარი განაცხადეს სტაციონარულ მკურნალობაზე;

ა.გ.ა.ბ) ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს, რომელთაც გამოუვლინდათ ტუბერკულოზის მჟავაგამძლე ბაქტერიაზე უარყოფითი ფორმა (შემდგომში, მგბ(-)) ;

ა.გ.ა.გ) პაციენტებს, რომელთაც მკურნალობის ინტენსიური ფაზა გაიარეს სტაციონარში;

ა.გ.ა.დ) რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულებს (სიმპტომური მკურნალობა).

ა.გ.ბ) ფილტვის აქტიური ბაქტერია გამოყოფით მიმდინარე მგბ(+) ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი პირების მოძიება და მათი გამოკვლევა.

ბ) რეფერენს კონტროლი, რომელიც შედგება სამი ქვეკომპონენტისგან:

ბ.ა) რეფერენს ლაბორატორია, რომელიც მოიცავს ეროვნულ რეფერენს ლაბორატორიის მიერ სტაციონარსა და ამბულატორიაში ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკის, ხარისხის კონტროლისა და რეზისტენტული ტუბერკულოზის ლაბორატორიული მართვის უზრუნველყოფას როგორც სამოქალაქო სექტორში, ისე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში;

ბ.ბ) ზედამხედველობა (სუპერვიზია), რომელიც ხორციელდება ცენტრალურ (წელიწადში 2-ჯერ) და რეგიონალურ (წელიწადში 4-ჯერ) დონეებზე, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ჩათვლით;

ბ.გ) რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებები, რაც მოიცავს:

ბ.გ.ა) ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებისთვის პაციენტების DOT წერტილებამდე გადაადგილების უზრუნველყოფას (კვირაში 6 დღე);

ბ.გ.ბ) პირველადი ჯანდაცვის და DOT მედლების მიერ მე-6 დღეს (არასამუშაო დღე) განხორციელებული DOT-ის ანაზღაურებას;

ბ.გ.გ) ტუბერტულებთან არსებული ნახველის შემგროვებელი პუნქტებიდან ბაქტერიოსკოპულ ლაბორატორიაში მასალის ტრანსპორტირებას;

ბ.გ.დ) პაციენტთა მკურნალობაში ჩართვას და მართვის უზრუნველყოფას მკურნალობის დასრულებამდე.

გ) სტაციონარული მომსახურება, მათ შორის რეზისტენტული ფორმების მკურნალობა, რომელიც მოიცავს:

გ.ა) დიაგნოსტიკურ მომსახურებას - ითვალისწინებს რთულ დიაგნოსტიკურ შემთხვევებს, რომლის დროსაც აუცილებელია პაციენტის ჰოსპიტალიზაცია და დამატებით ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები;

გ.ბ) ტუბერკულოზით დაავადებულთა სპეციფიურ თერაპიულ სტაციონარულ მომსახურებას, რომელიც მოიცავს:

გ.ბ.ა) პირველი რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებისადმი მგრძნობიარე ტუბერკულოზის მკურნალობას;

გ.ბ.ბ) პირველი რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობას;

გ.ბ.გ) რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულთა სიმპტომურ მკურნალობას;

გ.ბ.დ) ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფას (მათ შორის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში).

გ.გ) ტუბერკულოზით დაავადებულთა სპეციფიურ ქირურგიულ სტაციონარულ მომსახურებას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან).

2. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით დანართი 3.1-ის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით.

4. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ერთეული სტაციონარული შემთხვევის მაქსიმალური ღირებულებისა. ერთეული სტაციონარული შემთხვევის მაქსიმალურ ღირებულებად განისაზღვროს სტაციონარში გატარებული საწოლდღების რაოდენობა გამრავლებული ერთი საწოლდღის ღირებულებაზე (დანართი 3.2.-ის შესაბამისად).

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა, განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დანართი 3.1-ის შესაბამისად.

2. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების დაფინანსება განხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9 615 200.0 ლარით დანართი 3.3-ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და დანართ 3.1. გათვალისწინებით.

2 პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაუდასტურებს პროგრამის განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი – 3.1 – ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება გლობალური ბიუჯეტით

N	თვითმმართველი ერთეულები	თვის ბიუჯეტი (ლარი)
1	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	819
2	ასპინძის მუნიციპალიტეტი	852
3	ონის მუნიციპალიტეტი	762
4	თიანეთის მუნიციპალიტეტი	825
5	ადიგენის მუნიციპალიტეტი	898
6	ცაგერის მუნიციპალიტეტი	853
7	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	798
8	მესტიის მუნიციპალიტეტი	810
9	ახალგორის მუნიციპალიტეტი	784
10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	965
11	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	872
12	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	952
13	დმანისის მუნიციპალიტეტი	883
14	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	1148
15	ახალციხის მუნიციპალიტეტი	924
16	დუშეთის მუნიციპალიტეტი	948
17	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	799
18	ქედის მუნიციპალიტეტი	817
19	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	862
20	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	866
21	ვანის მუნიციპალიტეტი	957
22	აბაშის მუნიციპალიტეტი	956
23	ხონის მუნიციპალიტეტი	902
24	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	1109
25	წალკის მუნიციპალიტეტი	806
26	ქარელის მუნიციპალიტეტი	1210
27	ხულოს მუნიციპალიტეტი	908
28	ახმეტის მუნიციპალიტეტი	1015
29	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	820
30	ყვარელის მუნიციპალიტეტი	810
31	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	848

32	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	670
33	საჩხერეს მუნიციპალიტეტი	978
34	ხობის მუნიციპალიტეტი	1167
35	კასპის მუნიციპალიტეტი	1317
36	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	920
37	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	1029
38	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1150
39	მარტვილის მუნიციპალიტეტი	947
40	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	1249
41	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1267
42	ხაშურის მუნიციპალიტეტი	1098
43	სენაკის მუნიციპალიტეტი	1355
44	მცხეთის მუნიციპალიტეტი	1476
45	თელავის მუნიციპალიტეტი	932
46	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	1420
47	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1339
48	ხონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქუტირი	208
49	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ზამლეთი	2363
50	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2887
51	ფოთის თვითმმართველი ქალაქი	7896
52	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	3439
53	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	3370
54	მარნეულის მუნიციპალიტეტი	4392
55	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	5274
56	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	4029
57	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	6289
58	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	4096
59	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	6364
60	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	13649
61	თვითმმართველი ქალაქი ბათუმი	12463
62	გორის მუნიციპალიტეტი	9609
63	თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	13412
64	ადიგენის მუნიციპალიტეტი დაბა აბასთუმანი	3339
65	თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	12233
66	თვითმმართველი ქალაქი თბილისი	80440

დანართი – 3.2 – პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და ერთეულის ღირებულებები

N	ღონისძიება	ერთეულის ღირებულება (ლარი)
1	სტაციონარული მომსახურება (სენსიტიური), თბილისი - საწოლდღის ღირებულება	28
2	სტაციონარული მომსახურება (სენსიტიური), სხვა რეგიონები - საწოლდღის ღირებულება	25
3	სტაციონარული მომსახურება (რეზისტენტული), თბილისი - საწოლდღის ღირებულება	33

4	სტაციონარული მომსახურება (რეზისტენტული), სხვა რეგიონები - საწოდების ღირებულება	30
5	ქირურგიული მკურნალობა (თბილისი)	4200

დანართი 3.3 – პროგრამის ბიუჯეტი (24.05.2011 N 220)

№	ღონისძიება	ბიუჯეტი (ლარებით)
1	ამბულატორიული მომსახურება	2,902,120
2	რეფერენს კონტროლის კომპონენტი (მათ შორის, რე-ზის-ტენ-ტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებები)	1,043, 670
2.1	რეფერენს ლაბორატორია	419,650
2.2	ზედამხედველობა	96,000
2.3	რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულ-ყოფის ღონისძიებები (2011 წლის 1 ოქტომბრამდე)	528,020
3	სტაციონარული მომსახურება (მათ შორის, რე-ზის-ტენ-ტული ფორმების მკურნალობა)	5,669,410
სულ:		9,615,200

დანართი N4

აივ-ინფექცია/შიდსი
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 04

მუხლი 1. პროგრამის მიზნი

პროგრამის მიზანია:

- ა) აივ ინფექცია/შიდსის ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენა;
- ბ) აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების შეფერხება;
- გ) აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამის ფარგლებში იფარება შემდეგი სახის მომსახურებები, გარდა ანტირეტროვირუსული მედიკამენტებისა, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებენ დონორი ორგანიზაციები:

ა) აივ-ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება, რომელიც გულისხმობს: (14.06.2011 N 240)

ა.ა) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით;

ა.ბ) ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პაციენტების ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით;

ა.გ) სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა მქონე პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე კონსულტაციასა და ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით;

ა.დ) ინექციური ნარკომანი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე კონსულტაციასა და ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით;

ა.ე) ორსულთა, ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პაციენტების, პათიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების, ინექციური ნარკომანი პირების, სგგდ მქონე პირებისა და სისხლის დონორთა აივ-ინფექციაზე/შიდსზე საექმო შემთხვევების გამოკვლევას კონფიდენციალური მეთოდებით;

ა.ვ) ე.წ. კომერციული სექსმუშაკების და ჰომო- და ბისექსუალების აივ-ინფექციაზე/შიდსზე საექმო შემთხვევების გამოკვლევას კონფიდენციალური მეთოდებით;

ა.ზ) სხვა რისკჯგუფების (B და C ჰეპატიტის, აივ-ინფექციაზე საექმო კლინიკური ნიშნების მქონე პაციენტების, აივ-ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების) აივ-ინფექციაზე/შიდსზე კონსულტაციას, ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით და აივ-ინფექციაზე/შიდსზე საექმო შემთხვევების გამოკვლევას კონფიდენციალური მეთოდებით;

ბ) აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფას ამბულატორიული მომსახურებით, რომელიც გულისხმობს:

ბ.ა) პირველ და განმეორებით ვიზიტს;

ბ.ბ) ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობას, შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

ბ.გ) ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას;

ბ.დ) ექიმის ვიზიტს პაციენტთან.

გ) აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფას სტაციონარული მკურნალობით, რომელიც გულისხმობს:

გ.ა) შიდს-ინდიკატორული დაავადებების ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას;

გ.ბ) აივ-ინფექცია/შიდსის თანმხლები დაავადებების ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

2. მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი ანაზღაურდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს დანართ_4.2-ში მითითებული თანხებისა.

3. მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დანართი_4.1-ის შესაბამისად განსაზღვრული ღირებულებისა.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. მე-3 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

2. მე-3 მუხლის „ა.ბ“ და „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს უშუალოდ განმახორციელებელი, ხოლო ლაბორატორიული კვლევებისთვის რეაგენტებისა და სახარჯი მასალების შესყიდვას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3,150.0 ათასი ლარით დანართი_4.2-ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი (14.06.2011 N 240)

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.გ“, „ა.დ“ და „ა.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტესტ-სისტემების, რეაგენტებისა და სხვა სახარჯი მასალების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის 3¹ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და გადაეცემა მომსახურების შესაბამის მიმწოდებელს.

2. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.გ“, „ა.დ“, „ა.ვ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

4. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

5. მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის განმახორციელებელია სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

2. მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი – 4.1 – აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული და სტაციონარული დახმარებით

N	მომსახურება	ერთეულის ფასი (ლარი)
1.	შიდსი (ამბულატორიული მომსახურება)	
1.1	პირველი ვიზიტი	510.0
1.2	განმეორებითი ვიზიტი გაფართოებული	320.0
1.3	განმეორებითი ვიზიტი სტანდარტული	80.0
1.4	ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობა მძიმე	400.0
1.5	ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობა მსუბუქი	100.0
1.6	ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა გაფართოებული	400.0
1.7	ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა სტანდარტული	80.0
1.8	ექიმის ვიზიტი პაციენტთან	20.0
2.	შიდსი (სტაციონარული მომსახურება)	2790.0

დანართი 4.2 – პროგრამის ბიუჯეტი (14.06.2011 N 240)

№	ღონისძიება	ბიუჯეტი (ლარებით)
1	აივ-ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა კონსულტაცია და ტესტირება	586,020.0
1.1	მე-3 მუხლის „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.გ“, „ა.დ“ და „ა.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტესტ-სისტემების, რეაგენტებისა და სხვა სახარჯი მასალების შესყიდვა და ლოჯისტიკა	150,000.00
1.2	„ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფა	15,000.00
1.3	„ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფა	10,000.00
1.4	„ა.ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფა	20,000.00
1.5	„ა.ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფა	391,020.00
2	ამბულატორიული მომსახურება	1,308,480.0
3	სტაციონარული მომსახურება	1,255,500.0
სულ:		3,150,000.0

დანართი N 5

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 05

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია უსაფრთხო ორსულობის უზრუნველყოფა, გართულებული მშობიარობის მართვა, პერინატალური სიკვდილიანობის შემცირება ორსულთა ეფექტური პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებების ადრეული გამოვლენა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები დანართი_5.1-ის შესაბამისად.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) ანტენატალურ მეთვალყურეობას: (14.06.2011 N 240)
 - ა.ა) ანტენატალური მეთვალყურეობა (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართ 5.2-ში);
 - ა.ბ) ანტენატალური სკრინინგი აივ-ინფექციაზე, B ჰეპატიტსა და ათაშანგზე (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართ 5.2-ში);
 - ბ) მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობას;
 - ბ.ა) მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურება;
 - ბ.ბ) გართულებულ ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა კრიტიკული მდგომარეობების მართვა (პირველი 6 დღე);
 - ბ.გ) მელოგინეთა სეფსისის მკურნალობა.
- გ) გენეტიკური პათოლოგიების ადრეულ გამოვლენას:
 - გ.ა) გენეტიკურ პათოლოგიებზე სკრინინგული გამოკვლევა სამმაგი ტესტ - სისტემით;
 - გ.ბ) სკრინინგით ვერიფიცირებული ორსულების ინვაზიური კვლევა (ამნიოცენტუზი) კარიოტიპირების მეთოდით.

დ) ორსულებში B ჰეპატიტის (სწრაფი და კონფირმაციული) და აივ-ინფექციის/შიდსის (სწრაფი/მარტივი) განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებით უზრუნველყოფას; (14.06.2011 N 240)

ე) ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგს ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე (ამ მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართ_5.3-ში).

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი (14.06.2011 N 240)

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის (ანტენატალური მეთვალყურეობა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება ანტენატალური დახმარების მოცულობის მიხედვით შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. ერთი ორსულის მართვის ღირებულება განისაზღვრება 55 ლარის ოდენობით, შემდეგი სქემით:

- ა) I ვიზიტი – 32 ლარი;
- ბ) II ვიზიტი – 9 ლარი;
- გ) III ვიზიტი – 7 ლარი;
- დ) IV ვიზიტი – 7 ლარი.

1¹. ამ პროგრამის მე-3 მუხლის (ანტენატალური მეთვალყურეობა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 12 ლარით.

2. მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის კომპონენტით განსაზღვრული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულებისა, დანართი 5.4-ის შესაბამისად.

3. გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

4. ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, დანართი 5.5-ის შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები: (14.06.2011 N 240)

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი განხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

3. ამ პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისი მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

4. ამ პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის 3¹ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. ამ პროგრამის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 4,405.9 ათასი ლარით დანათი_5.6_ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი (14.06.2011 N 240)

1. მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელი პირი/დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის

პირობებს და პროგრამის განმახორციელებელს წერილობით დაუდასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

2. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელი პირი/დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს, პროგრამის განმახორციელებელს წერილობით დაუდასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ლაბორატორია, რომელიც, სულ მცირე, აღჭურვილია:

ა.ა) ავტომატური იმუნოლოგიური რიდერთა და ვოშორით;

ა.ბ) სინათლის მიკროსკოპით;

ა.გ) ინვერსიული მიკროსკოპით;

ა.დ) ავტომატური პროგრამული უზრუნველყოფით კარიოტიპების სისტემის დასაღაგებლად, რომლის მგრძნობელობაც არის 98% და მეტი;

ა.ე) ლამინირებული ბოქსებით;

ა.ვ) ინკუბატორებით;

ა.ზ) ცენტრიფუგით;

ა.თ) პრეციზიული გამაცხელებლით;

ბ) ჰყავს მაღალკვალიფიციური და შესაბამისი გადამზადების მქონე პერსონალი, სულ მცირე, ექიმ-გენეტიკოსი, რადიოლოგი, მეან-გინეკოლოგი, ლაბორანტი;

გ) აქვს გენეტიკური პათოლოგიების მონაცემთა რეგიონალური პარამეტრების ბაზა, რომელშიც ასახულია, სულ მცირე, 3000 სკრინინგული კვლევისა და 300 კარიოტიპირების მონაცემი;

დ) აქვს საოპერაციო (სავალდებულოა მე-3 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლისათვის);

ე) ხელმისაწვდომობა სისხლის ბანკთან უზრუნველყოფილია (სავალდებულოა მე-3 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლისათვის);

ვ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისის მასშტაბით არსებული ქალთა კონსულტაციებიდან (ან შესაბამისი ანტენატალური მომსახურების მიმწოდებელთან) საანალიზო მასალის რეგულარული შეგროვება და მოსარგებლეთა დროული ინფორმირება.

3. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

4. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი (14.06.2011 N 240)

1. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის განმახორციელებელია სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

დანართი 5. 1

პროგრამის მოსარგებლები

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის (ანტენატალური მეთვალყურეობა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქე ყველა ორსული. (14.06.2011 N 240)

1¹. ანტენატალური მეთვალყურეობის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქე ყველა ორსული, რომელთაც არ უსარგებლიათ პირველი

ვიზიტით „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვაუჩერის ფარგლებში დადგენილ ვადებში. (14.06.2011 N 240)

2. მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის კომპონენტის მოსარგებლენი არიან მაღალი რისკის ორსულები, მშობიარეები და მელოგინეები, გარდა „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისა, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს: (14.06.2011 N 240)

ა) მძიმე ფორმის პრეეკლამპსია (>160 მმ.ვწყ.სვ და/ან >90 მმ.ვწყ.სვ);
ბ) ეკლამპსია და მისი შემდგომი მდგომარეობები (ეკლამპსიური კომის გარდა);
გ) მოსალოდნელი ნაადრევი მშობიარობა ორსულობის 22-ე კვირიდან 34-ე კვირის ჩათვლით;
დ) ხელოვნური განაყოფიერების შედეგად განვითარებული ერთ- და მრავალნაყოფიანი ორსულობა;

ე) დეკომპენსირებული ექსტრაგენიტალური დაავადებები (სისტემური დაავადებები; ენდოკრინული სისტემის დეკომპენსირებული მდგომარეობები – გაუკონტროლებელი შაქრიანი დიაბეტი, თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზია, თირეოტიკოზი და სხვ.; თირკმლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობა; პორტული ჰიპერტენზიით მიმდინარე მდგომარეობები; ონკოპათოლოგიები);

ვ) ნაყოფის პათოლოგიური მდგომარეობები (მკვდარი ნაყოფი; ნაყოფის განვითარების მანკები; ვენტრიკულომეგალია – მეტი 15 მმ-ზე; SPINA BIFIDA; ანენცეფალია, ჰიდრანენცეფალია, პროზენცეფალია; ბილატერალური ჰიდრონეფროზი, 20 მმ-ზე მეტი; ომფალოცელე, გასტროშიზისი; ჰიდროთორაქსი შუასაყარის ცდომით; ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეყოვნება III-IV ხარ.; იზოსეროლოგიური შეუთავსებლობის ფონზე ნაყოფის დაზიანება (შემუპება, ჰეპატოსპლენომეგალია, ასციტი); მრავალნაყოფიანი ორსულობა (2-ზე მეტი ნაყოფი);

ზ) კრიტიკული მდგომარეობა;

თ) გადატანილი პათოლოგიური მშობიარობა (ინსტრუმენტული მშობიარობა; საკეისრო კვეთა).

3. გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტის მოსარგებლეები არიან მაღალი რისკის ორსულთა შემდეგი ჯგუფები ქ. თბილისის მასშტაბით:

ა) ქრომოსომული პათოლოგიის არსებობა ერთ-ერთ მშობელთან და/ან ოჯახის წევრთან;

ბ) გენური პათოლოგიის არსებობა ერთ-ერთ მშობელთან და/ან ოჯახის წევრთან;

გ) ნაადრევი ბავშვის დაბადება თანდაყოლილი განვითარების მანკით;

დ) ანამნეზში მკვდრადშობადობა;

ე) დაუდგენელი მიზეზით ნეონატალურ პერიოდში ახალშობილის სიკვდილი;

ვ) ქალის ასაკი 35 და მეტი წლის;

ზ) ინფექციური დაავადებები (აქტიური ციტომეგალოვირუსი, ჰერპესი, ტოქსოპლაზმოზი, B და C ჰეპატიტი, წითელა);

თ) აუტოსომ-დომინანტური ტიპის მემკვიდრული დაავადებების არსებობა მშობლებში;

ი) აუტოსომ-რეცესიული დაავადებების ჰეტეროზიგოტური მტარებლობა ორივე მშობელში;

კ) ნაყოფის ულტრაბერითი გამოკვლევით განვითარების მანკის ნიშნების აღმოჩენა;

ლ) ორსულობის პერიოდში ძლიერმოქმედი წამლების მიღება;

მ) ერთ-ერთი მშობლის ნარკომანია და ალკოჰოლიზმი;

ნ) ხელოვნური განაყოფიერება;

ო) მედიკამენტოზური და/ან ქიმიური ინტოქსიკაცია ორსულობის პირველი ტრიმესტრის დროს;

პ) რადიაციის და სხვა დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედება ორსულობისას.

4. ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილლანინემიასა და მუკოვისციდოზზე – მოსარგებლეები არიან ახალშობილები და ბავშვები

დანართ 5.3–სა და 5.5 მიხედვით საქართველოს მასშტაბით (მათ შორის მუკოვისციდოზზე ქ. თბილისის მასშტაბით).

დანართი 5.2 – ანტენატალური მეთვალყურეობა (14.06.2011 N 240)

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის (ანტენატალური მეთვალყურეობა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება წარმოებს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) – „ანტენატალური მეთვალყურეობა ფიზიოლოგიურად მიმდინარე ორსულობის დროს“ – შესაბამისად. კომპონენტით იფარება 4 ანტენატალური ვიზიტი (ორსულობის მე-13 კვირამდე, მე-18-მე-20, 30-ე-32-ე და 34-ე-36-ე-38-ე კვირებზე), რაც მოიცავს:

1	პირველი ვიზიტი – მე-13 კვირის ორსულობის ვადამდე	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას; ბ) თერაპევტის კონსულტაციას; გ) სისხლის საერთო ანალიზს; დ) შარდის საერთო ანალიზს; ე) სიფილისის დიაგნოსტიკას სწრაფი/მარტივი მეთოდით; ვ) B ჰეპატიტის დიაგნოსტიკას (სისხლის შრატ./პლაზმ.) სწრაფი/მარტივი მეთოდით; ზ) აივ-ანტისხეულების განსაზღვრას (სისხლის შრატ./პლაზმ.) სწრაფი/მარტივი მეთოდით; თ) სისხლის ჯგუფისა და რეზუსის განსაზღვრას; ი) საშოს ნაცხის ბაქტერიოსკოპულ გამოკვლევას.
2	მეორე ვიზიტი – ორსულობის მე-18-მე-20 კვირებზე	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას; ბ) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპიას (ნაყოფის სტრუქტურული ანომალიების გამოსავლენად).
3	მესამე ვიზიტი – ორსულობის 30-ე-32-ე კვირებზე	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას; ბ) ცილის რაოდენობის განსაზღვრას შარდში; გ) ჰემოგლობინის განსაზღვრას სისხლში.
4	მეოთხე ვიზიტი – ორსულობის 34-ე-36-ე-38-ე კვირებზე	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაციას; ბ) ცილის რაოდენობის განსაზღვრას შარდში; გ) ჰემოგლობინის განსაზღვრას სისხლში.

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის (ანტენატალური მეთვალყურეობა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება მოიცავს:

- ა) სიფილისის დიაგნოსტიკას სწრაფი/მარტივი მეთოდით;
- ბ) B ჰეპატიტის დიაგნოსტიკას (სისხლის შრატ./პლაზმ.) სწრაფი/მარტივი მეთოდით;
- გ) აივ-ანტისხეულების განსაზღვრას (სისხლის შრატ./პლაზმ.) სწრაფი/მარტივი მეთოდით.

დანართი_5.3 – ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე

1. ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა გამოვლენა ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის მუკოვისციდოზზე ქ. თბილისის მასშტაბით) დაბადებული ყველა ახალშობილის სკრინინგის მეშვეობით.

2. ფენილკეტონურიისა და ჰიპერფენილალანინემიის მქონე ახალშობილთა მეორადი დიაგნოსტიკა დაავადების დადასტურების მიზნით.

3. ფენილკეტონურიტა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ყოველთვიური მონიტორინგი და ამბულატორიული დახმარება.

4. ფენილკეტონურიტის და ჰიპერფენილალანინემიის პათოლოგიური გენების მატარებელი ოჯახების კონსულტირება ამ პათოლოგიათა პრევენციის მიზნით.

5. ფენილკეტონურიტა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახის წევრებთან ტრენინგის ჩატარება.

6. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ჰიპოთირეოზის მეორადი დიაგნოსტიკა და ამბულატორიული მონიტორინგი, რაც მოიცავს:

ა) ენდოკრინოლოგის და პედიატრის მომსახურებას;

ბ) სისხლის ლაბორატორიულ კვლევას ჰორმონებზე (FT4, TSH).

დანართი_5.4 – მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის კომპონენტით განსაზღვრული მომსახურება და ღირებულება

N	ჯგუფი	ღირებულება (ლარი)
1	მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სამედიცინო მომსახურება, მძიმე შემთხვევების მართვა. თანაგადახდა პაციენტის მხრიდან შეადგენს 25%-ს.	833.0
2	გართულებულ ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა კრიტიკული მდგომარეობების მართვა (პირველი 6 დღე)	2,177.0
3	მელოგინეთა სეფსისის მკურნალობა	3,000.0

დანართი – 5.5 – ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე

N	ღონისძიების დასახელება	ერთეულის ფასი (ლარში)
1	ახალშობილთა მასიური სკრინინგი ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე, თანდაყოლილ ჰიპოთირეოზსა და მუკოვისციდოზზე (სკრინინგის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა სისხლის ნიმუშზე)	13.8
2	ახალშობილთა მასიური სკრინინგი ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე და თანდაყოლილ ჰიპოთირეოზზე (სკრინინგის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა სისხლის ნიმუშზე)	8.8
3	ახალშობილთა მეორადი დიაგნოსტიკა ჰიპერფენილალანინემიასა და ფენილკეტონურიაზე	32.0
4	არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევები (ფენილკეტონურია) – 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	85.0
5	არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევები (ფენილკეტონურია) – 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	65.0
6	არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევები (ფენილკეტონურია) – 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	42.0
7	არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევები (ფენილკეტონურია) – 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	38.0
8	თანდაყოლილ ჰიპოთირეოზზე - მეორადი დიაგნოსტიკა, მონიტორინგი	240.0

	და მკურნალობა - 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	
--	--	--

დანართი 5.6 – პროგრამის ბიუჯეტი (14.06.2011 N 240)

№	მომსახურებები	ბიუჯეტი (ლარებით)
1	ანტენატალური მეთვალყურეობა	1,880,400.0
2	მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა	1,500,000.0
3	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	200,000.0
4	ორსულებში B ჰეპატიტის და აივ-ინფექციის/შიდსის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებით უზრუნველყოფა	99,000.0
5	ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიასზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე	800,000.0
სულ:		4,479,400.0

დანართი N 6

ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვა
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 06

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების რეაბილიტაცია, ამბულატორიული მეთვალყურეობის გაუმჯობესების გზით შესაძლო გართულებების პრევენცია და შემცირება.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე დიაბეტით დაავადებული ბავშვები, ასევე 18 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქე დიაბეტიანი პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას;
- ბ) ინსულინის, ინსულინის ანალოგების, გლუკაგონის, საანალიზო ტექნიკური საშუალებების შენახვასა და გაცემას;
- გ) ლაბორატორიული გამოკვლევების უზრუნველყოფას (გლიკოჰემოგლობინი);
- დ) თვალის დაავადებათა გართულებების მონიტორინგს;
- ე) პროგრამის მოსარგებლების და მათი მშობლების სამედიცინო განათლებას;
- ვ) ფიზიკურ რეაბილიტაციას.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გასაზღვრული საანალიზო ტექნიკური საშუალებების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გადაეცემა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელს.

2. მე-3 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით. ამასთან, ერთი მოსარგებლისათვის განკუთვნილი სამედიცინო ვაუჩერის წლიური ღირებულება განისაზღვრება 508 ლარით, მაგრამ პროგრამის ჯამური ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის წლიურ ბიუჯეტს.

3. მე-3 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიმწოდებლისათვის მომსახურების ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება რეგისტრირებული მოსარგებლების რაოდენობის და ვაუჩერის წლიური ღირებულების შესაბამისად (შესულებული სამუშაოს მიუხედავად) და ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად წლიური ასანაზღაურებელი თანხის არაუმეტეს 1/12 პრინციპით.

4. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება იფარება სრულად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტების მხრიდან.

5. პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლეს პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციისათვის აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს შორის.

6. მოსარგებლეს სამედიცინო ვაუჩერით სარგებლობა უწყდება შემდეგი პირობების არსებობისას:

- ა) მოსარგებლის (ან მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი წერილობითი გაცხადება;
- ბ) ვაუჩერის მოსარგებლე აღარ აკმაყოფილებს პროგრამის მოსარგებლეთათვის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) მომსახურების მიღებისთვის აუცილებელი წინაპირობის შეუსრულებლობა (მომსახურების მიღების აუცილებელი წინაპირობაა ვიზიტი მიმწოდებელთან);
- დ) მოსარგებლის გარდაცვალება.

7. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელს პროგრამის არსებული (რეგისტრირებული) მოსარგებლების შესახებ წინასწარ დადგენილი ფორმით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 650 ათასი ლარით, მათ შორის საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისთვის - 300 ათასი ლარი.

მუხლი 6. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

2. მე-3 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ნაწილში პროგრამის განმახორციელებელია 2011 წლის პირველ აპრილამდე სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ხოლო 2011 წლის პირველი აპრილიდან – ამ ნაწილში მისი უფლებამონაცვლე სამინისტრო. (31.03.2011 N 146)

2. მე-3 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების ნაწილში პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი N 7

სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 07

მუხლი 1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

ა) შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების ამბულატორიული მეთვალყურეობის გაუმჯობესება და შესაძლო გართულებების პრევენცია და შემცირება;

ბ) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობის ,ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების მიზანშეწონილობის თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადება.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები.

2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულები.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) სპეციალიზებულ ამბულატორიულ დახმარებას:

ა.ა) ექიმი-ენდოკრინოლოგის და ექთნის მუდმივ მეთვალყურეობას არანაკლებ სამი დღის განმავლობაში;

ა.ბ) ანგიოლოგის, ნევროპათოლოგის, ოფთალმოლოგის კონსულტაციას, საჭიროების შესაბამისად;

ა.გ) დიეტოლოგის კონსულტაციას;

ა.დ) კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევებს:

ა.დ.ა) გლუკოზის განსაზღვრა სისხლში, არანაკლებ 8 ერთეულისა ერთ პაციენტზე;

ა.დ.ბ) გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა;

ა.დ.გ) კრეატინინის განსაზღვრა სისხლში;

ა.დ.დ) მიკროალბუმინურიის კვლევა;

ა.დ.ე) სისხლის საერთო ანალიზი;

ა.დ.ვ) შარდის საერთო ანალიზი;

ა.დ.ზ) ზიმნიცკის სინჯი;

ა.დ.თ) C- პეპტიდი;

ა.დ.ი) ჰომა – 2-ის ინდექსი;

ა.დ.კ) ე.კ.გ.

ბ) მსჯავრდებულთა კომისიური შემოწმების უზრუნველყოფა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №179-427/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული “საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების“ შესაბამისად.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ღირებულებისა.

2. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების ერთეულს წარმოადგენს მკურნალობის ეპიზოდი, რომლის ღირებულება განსაზღვრულია 300 ლარით.

3. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში პროგრამა ფარავს მკურნალობის ეპიზოდის ფაქტობრივი ღირებულების 90%-ს, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. თანაგადახდას არ ექვემდებარება „სა-ხელ-მწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სა-და-ზღ-ვე-ვო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისთვის ამ პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება. (24.05.2011 N 220)

4. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისიის მუდმივმოქმედ წევრთა და კომისიის მდივნის მომსახურება ანაზღაურდება ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

- ა) კომისიის თავმჯდომარე - 2800 ლარი;
- ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - 2100 ლარი;
- გ) კომისიის წევრი - 1200 ლარი;
- დ) კომისიის მდივანი - 1100 ლარი.

5. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში დაავადების შესაბამისი პროფილის კვალიფიციური ექიმის მომსახურება ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ერთ სამუშაო დღეზე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 204 ლარის ოდენობით.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება არამატერიალური სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

2. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისიის მუდმივმოქმედ წევრთა და კომისიის მდივნის შრომის ანაზღაურება ხორციელდება განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

3. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში დაავადების შესაბამისი პროფილის კვალიფიციური ექიმის შრომის ანაზღაურება ხორციელდება განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

4. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისთვის, მიეცეს თანხმობა სააგენტოს შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა (გარდა კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული რაოდენობისა) გაზარდოს არაუმეტეს 14 ერთეულისა.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი 280 ათასი ლარით, აქედან:

ა) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ბიუჯეტი განისაზღვრა 180 ათასი ლარით;

ბ) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ბიუჯეტი განისაზღვრება 100 ათასი ლარით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ

მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

2. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პატიმართა და მსჯავრდებულთა კომისიური წესით შემოწმებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №179-427/ნ ერთობლივი ბრძანებით შექმნილი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი N 8

ნარკომანია

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 08

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა და რეაბილიტაცია.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან ნარკომანიით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები.

2. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლე არის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრი, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ქულას.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის განხორციელებას;
- ბ) ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების და სამედიცინო მეთვალყურეობის უზრუნველყოფას (პროგრამის მოსარგებლეთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა ხორციელდება „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტების უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში) ქ. თბილისისა და რეგიონებში (კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. ნარკომანიით დაავადებულთა სტაციონარული დეტოქსიკაციის ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 1250 ლარისა, ხოლო პირველადი რეაბილიტაცია -- ასევე ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა.

2. ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტი დაფინანსდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ამ კომპონენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის 1/12-ისა ყოველთვიურად.

3. ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელებისას პაციენტის მხრიდან გათვალისწინებულია თანაგადახდა, რაც ერთი პაციენტის მხრიდან შეადგენს ერთი თვის განმავლობაში 150 ლარს. თანაგადახდა არ ეხებათ აივ-ინფექციით დაავადებულებს.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების მექანიზმები (31.03.2011 N 146)

პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

მუხლი 6. ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1,303.4 ათასი ლარით.

N	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
1	სტაციონარული დეტოქსიკაცია	17.0
2.	ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების და სამედიცინო მეთვალყურეობის უზრუნველყოფა	1,286.4
	სულ	1,303.4

დანართი N 9

ანტირაბიული დახმარება

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 09

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, გარდა „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ანტირაბიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას (ანტირაბიული სამედიცინო საშუალებების გარეშე). ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის შესყიდვა ხორციელდება „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. ანტირაბიული სამედიცინო დახმარება ანაზღაურდება ვიზიტის მიხედვით. პირველი ვიზიტის ღირებულება შეადგენს 12 ლარს, ხოლო ყოველი შემდგომი ვიზიტი - 6 ლარს.

2. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება არ ითვალისწინებს თანაგადახდას და ანაზღაურდება სრულად პროგრამის ხარჯებით.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების მექანიზმები

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 300.0 ათასი ლარით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და პროგრამის განმახორციელებელს წერილობით დაუდასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი N10

პროფესიულ დაავადებათა პრევენცია

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 10

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიულ დაავადებათა პრევენციის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. პროგრამის მოცულობა

პროგრამის მოცულობით გათვალისწინებულია შრომის პროცესში მოქმედი გარე ფაქტორების შესწავლა-შეფასება, პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივ ჯგუფებში, დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინფორმირება პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისა და მათგან დაცვის მეთოდების შესახებ, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება, გავრცელებული პროფესიული დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის სახელმძღვანელო სქემების შემუშავება, მიღებული გაიდლაინების იმპლემენტაცია.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია, ანაზღაურების წესი

დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრი.

მუხლი 6. ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 270.0 ათასი ლარით.

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 11

მუხლი 1 . პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგს -- კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით ჩატარდება სკრინინგული გამოკვლევები ქვეყნის მასშტაბით, გარდა თბილისისა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ძუძუს კიბოს სკრინინგი 40–70 წლის ასაკის ქალებში, ჩატარდება საშვილოსნოს ყელის სკრინინგი 25–60 წლის ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50–70 წლის ასაკის მამაკაცებში, ფარული სისხლდენის სკრინინგი 50–70 წლის ორივე სქესისათვის. გამოკვლევები ჩატარდება სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში;

ბ) ჯანდაცვის პირველადი რგოლის დაწესებულებებში აღრიცხული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტთა მართვის ანალიზს - საქართველოში გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდება ჯანდაცვის პირველადი რგოლის დაწესებულებებში აღრიცხული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტთა მართვის შეფასება;

გ) საქართველოში სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა (სგდ) გავრცელების შესწავლას - ეპიდზედამხედველობის და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება სხვადასხვა პოპულაციურ ჯგუფებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების შესწავლა შესაბამისი, თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით და სპეციფიური სგდ სინდრომების ყველაზე ხშირი გამომწვევების დადგენა;

გ.ა) სამიზნე ჯგუფებში პაციენტების კონსულტირება, მასალის აღება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით;

გ.ბ) სამიზნე ჯგუფებში პაციენტების გამოკვლევა კონფირმაციული მეთოდებით.

დ) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგს და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასებას - 0-6 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების ბავშვთა გლობალური განვითარების სკრინინგი ითვალისწინებს ჯანდაცვის პირველადი რგოლიდან გამოგზავნილ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფასებას; მშობლის კონსულტირებას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხებზე, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლისათვის მზადყოფნის შეფასებას;

ე) ახალშობილთა სმენის დარღვევის გამოვლენას ახალშობილთა სმენის პირველადი და მეორეული სკრინინგული გამოკვლევის გზით;

ვ) საქართველოში ონკოდაავადებების აღრიცხვიანობის გაუმჯობესების მიზნით კიბოს რეესტრის მეთოდოლოგიის შემუშავებას;

ზ) ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფას ეპილეფსიის რეესტრის წარმოებისა და გაიდლაინებისა და პროტოკოლების იმპლემენტაციის ხელშეწყობის გზით;

თ) სომატოტროპული ჰორმონის დეფიციტის მქონე პაციენტებისათვის ჰორმონის შესყიდვას;

ი) ჰეპატიტების გავრცელების შესწავლას სელექტიურ რისკ-ჯგუფებში პრევენციის ეფექტური ღონისძიებების დასაგეგმად - ჰეპატიტების გავრცელების შესწავლის პროგრამის ფარგლებში

განხორციელდება B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობის კვლევა შემდეგ პოპულაციურ ჯგუფებში: სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მქონე პაციენტები; პოსტ-ჰემოტრანსფუზიული პაციენტები და პაციენტები, რომელთაც ჩატარებული აქვთ ენდოსკოპიური პროცედურები;

კ) მაღალი რისკის პოპულაციებში ლატენტური და აქტიური ტუბერკულოზის გავრცელების შესწავლას და მათი რისკ-სტრატეგიკაციის გზით ტუბერკულოზის შემთხვევათა აქტიური გამოვლენის მიზანმიმართული და ხარჯეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას -პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაღალი რისკის ჯგუფებში ლატენტური ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა მანტუს ტესტით, ამავე ჯგუფებში კითხვარების საშუალებით იმ ინდივიდთა გამოვლენა, რომელთაც აქტიური ტუბერკულოზის მაღალი რისკი აქვთ და მათი მიმართვა სპეციალიზებულ დაწესებულებებში; გამოვლენილი შემთხვევების აღრიცხვა.

ლ) საგანმანათლებლო კამპანიას მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინფორმირებულობისათვის;

მ) პროგრამის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია, ანაზღაურების წესი

1. კიბოს სკრინინგის კომპონენტში ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დანართ_11.2-ში მითითებული ერთეულის ფასებისა და ამავე დანართში განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში.

2. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მართვის კვლევა დაფინანსდება გლობალური დაფინანსების პრინციპით.

3. სქესობრივად გადამდებ დაავადებათა პრევენციის კომპონენტით გათვალისწინებული მასალის აღების მომსახურება (მე-3 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტი) ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, არაუმეტეს დანართ_11.3-ში მითითებული ერთეულის ფასებისა და ამავე დანართში განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში. სქესობრივად გადამდებ დაავადებათა პრევენციის კომპონენტით გათვალისწინებული კონფირმაციული კვლევების (მე-3 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტი) მომსახურებას ახორციელებს უშუალოდ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ხოლო კონფირმაციული ტესტებისთვის საჭირო მასალის შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ანაზღაურება ხორციელდება გლობალური დაფინანსების პრინციპით, მაგრამ არაუმეტეს დანართ_11.1-ში განსაზღვრული ბიუჯეტისა.

5. ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტში ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დანართ_11.1-ში განსაზღვრული ბიუჯეტისა.

6. კიბოს რეესტრის მეთოდოლოგიის შემუშავების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დანართ_11.1-ში განსაზღვრული ბიუჯეტისა.

7. ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხედველობის კომპონენტის ანაზღაურება ხორციელდება გლობალური დაფინანსების პრინციპით, მაგრამ არაუმეტეს დანართ_11.1-ში განსაზღვრული ბიუჯეტისა.

8. პროგრამის მოსარგებლეთათვის სომატოტროპული ჰორმონით უზრუნველყოფა ხდება უსასყიდლოდ (თანაგადახდის გარეშე) პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

9. ჰეპატიტების გავრცელების შესწავლის კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო სახარჯი მასალების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დანართ_11.4-ში განსაზღვრული რაოდენობებისა და ბიუჯეტის ფარგლებში.

10. მაღალი რისკის პოპულაციებში ტუბერკულოზის გავრცელების შესწავლის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება არაუმეტეს დანართ_11.1-ში განსაზღვრული ბიუჯეტისა.

11. მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანიით განსაზღვრული მომსახურების დაფინანსება მოხდება გლობალური დაფინანსების პრინციპით.

12. პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების მექანიზმი

1. მე-3 მუხლის „ა“, „ბ“, „გ.ა“, „დ“, „ვ“, „ზ“, „თ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების/საქონლის შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. მე-3 მუხლის „გ.ბ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს უშუალოდ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ხოლო სახარჯი მასალის შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს უშუალოდ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2,446.00 ათასი ლარით დანართი_11.1-ის შესაბამისად.

მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

მუხლი 8. მომსახურების მიმწოდებელი

1. მე-3 მუხლის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მე-3 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. მე-3 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით, „ვ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

დანართი – 11.1: პროგრამის ბიუჯეტი

N	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
1	კიბოს სკრინინგის კომპონენტი	1,102.3
2	გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მართვის კვლევა	40.0

3	სქესობრივად გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	203.5
4	0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის კომპონენტი	220.0
5	ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტი	50.5
6	კიბოს რეესტრის შემუშავების კომპონენტი	30.0
7	ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის კომპონენტი	260.0
8	ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდაში ჩამორჩენის პროფილაქტიკის კომპონენტი	307.5
9	ჰეპატიტების გავრცელების შესწავლა	46.8
10	მაღალი რისკის პოპულაციებში ლატენტური და აქტიური ტუბერკულოზის გავრცელების შესწავლა	16.8
11	მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანია	70.0
12	ადმინისტრირება და მონიტორინგი	98.6
	სულ	2,446.00

დანართი – 11.2: კიბოს სკრინინგის კომპონენტი (თანხა ლარებში)

მომსახურება	2011	
	ერთეულის მაქსიმალური ღირებულება	სულ თანხა
ძუძუს კიბოს სკრინინგი	21.43	514,300
საშვილოსნოს ყელის სკრინინგი	15	360,000
კოლორექტალური სკრინინგი	5	60,000
პროსტატის კიბოს სკრინინგი	12	72,000
კოლონოსკოპიური სკრინინგი	80	96,000
ჯამი		1,102,300

დანართი – 11.3: სქესობრივად გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კომპონენტი (თანხა ლარებში)

მომსახურება	2011	
	ერთეულის მაქსიმალური ღირებულება	სულ თანხა
სგგდ სინდრომების მქონე პაციენტები	177	104,500
სიფილისის დიაგნოსტიკა (RPR რაოდენობრივი და TPHA პირველ ვიზიტზე, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში განმეორებითი TPFA 2 კვირის შემდეგ)	25	14,750
ქლამიდიის/გონორეის დიაგნოსტიკა გენიტალურ მასალაში PCR მეთოდით	145	85,550
ტრიქომონას დიაგნოსტიკა გენიტალურ მასალაში	2	1,200
გენიტალური მასალის აღება	5	3,000
უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები (300 სტუდენტი)	170	51,000

სიფილისის დიაგნოსტიკა (სეროეპიდემიოლოგიის შესასწავლად) TPHA მეთოდით	10	3,000
მარტივი ჰერპესის II ტიპის ვირუსის IgG ანტისხეულების განსაზღვრა (სეროეპიდემიოლოგიის შესასწავლად)	15	4,500
ქლამიდიის/გონორეის დიაგნოსტიკა შარდში PCR მეთოდით	145	43,500
ორსულები (300 ორსული)	160	48,000
გენიტალური მასალის აღება	5	1,500
ქლამიდიის/გონორეის დიაგნოსტიკა გენიტალურ მასალაში PCR მეთოდით	145	43,500
სიფილისის დიაგნოსტიკა (სეროეპიდემიოლოგიის შესასწავლად) TPHA მეთოდით	10	3,000
სულ ჯამი		203,500

დანართი –11.4 ჰეპატიტების გავრცელების შესწავლა -- სახარჯი მასალები (თანხა ლარებში)

მომსახურება	2011		
	ერთეულის მაქსიმალური ღირებულება	წლიური რაოდენობა	სულ თანხა
ლაბორატორიული დიაგნოსტიკა HBsAg, antiHBc, antiHCV განსაზღვრისათვის	36	1200	43,200
სხვა დანახარჯები	300	12	3,600
სულ ჯამი			46,800

დანართი N12

იმუნიზაცია

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 12

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამა ითვალისწინებს:

- ა) ვაქცინებისა და შპრიცების შეძენას, შენახვას და გადაცემას სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისათვის.
- ბ) შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვას, შენახვას, გაცემას (ყვითელი ცხელების ვაქცინის გაცემისას პრიორიტეტი ენიჭებათ საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტებით წამსვლელებს);
- გ) იმუნოპროფილაქტიკის წარმოებას - აცრა-ვიზიტები;

დ) სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული მედიკამენტების გაცემა-განაწილებას „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამის მოსარგებლეებისათვის პროგრამით გათვალისწინებული ვაქცინებით და შრატებით უზრუნველყოფა და აცრა-ვიზიტების მომსახურება არ ითვალისწინებს პროგრამის მოსარგებლეთა მხრიდან თანაგადახდას.

2. აცრა-ვიზიტის ღირებულება შეადგენს 1 ლარს (მათ შორის, სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ექიმის ანაზღაურება – 0.50 ლარი, ექთნების ანაზღაურება – 0.50 ლარი).

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. იმუნიზაციის პროგრამით გათვალისწინებული ვაქცინების, შრატებისა და შპრიცების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. პროგრამით გათვალისწინებული ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა ხორციელდება „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით, ხოლო იმ ვაქცინების და შპრიცების შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით - ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

4. არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მიმღებად ჩაითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში.

5. სამედიცინო ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურება მოიცავს პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციით უზრუნველყოფას.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 4,520.0 ათასი ლარით დანართი_12.1-ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად.

2. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია:

ა) ზოგადი ამბულატორიის პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები;

ბ) სოფლის ექიმის პროგრამის მიმწოდებელი ფიზიკური პირები.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

1. მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილში პროგრამის განმახორციელებელია 2011 წლის პირველ აპრილამდე სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ხოლო 2011 წლის პირველი აპრილიდან – ამ ნაწილში მისი უფლებამონაცვლე სამინისტრო. (31.03.2011 N 146)

2. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილში პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

3. მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტს ახორციელებს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი.

მუხლი 9. პროგრამის ადმინისტრირება

პროგრამის ფარგლებში (აცრა-ვიზიტების ღირებულების ანაზღაურება) ანგარიშსწორება და კონტროლი ხდება ამავე დოკუმენტში მოყვანილი „ზოგადი დებულებების“ და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ადმინისტრირების შესაბამისად.

დანართი – 12.1 – პროგრამის ბიუჯეტი

N	ლონისძიება	ბიუჯეტი (ლარი)
1	ვაქცინების შესყიდვა	3,820,000.0
1.1	მათ შორის, ლოჯისტიკური ხარჯები	30,000.0
1.2	მათ შორის ვაქცინების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით	90,000.0
2	სტრატეგიული შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა	200,000.0
3	აცრა-ვიზიტები	500,000.0
სულ		4,520,000.0

დანართი N13

უსაფრთხო სისხლი

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 13

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.
2. პროგრამის ამოცანაა:
 - ა) თანაბარი სტანდარტის უსაფრთხოების მატარებელი სისხლის კომპონენტების მიწოდება საქართველოს მასშტაბით, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რომელ დაწესებულებაშია სისხლი დამზადებული.
 - ბ) ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) დონორული სისხლის კვლევას B და C ჰეპატიტზე, აივ–ზე და ათაშანგზე;
- ბ) ჰოსპიტალური სექტორის სისხლის პროდუქტებით უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავებას;
- გ) ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია, ანაზღაურების წესი

ანაზღაურება ხორციელდება დონაციების რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების მექანიზმები

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა მოხდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად რეგიონალური პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც განსაზღვრავს განმახორციელებელი.

მუხლი 6. ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 844.5 ათასი ლარით.

მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრი.

მუხლი 8. პროგრამის მიმწოდებლები

1. მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლები განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების თანახმად:

ა) ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას;

ბ) წელიწადში უნდა ატარებდნენ მინიმუმ 1500 დონაციას;

გ) დონაციათა 100% B და C ჰეპატიტებსა და აივ-ზე უნდა ტესტირდებოდეს EIA მეთოდით. სწრაფი მარტივი ტესტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ (გამონაკლის) არგუმენტირებულ ურგენტულ შემთხვევებში;

დ) ათაშანზე ტესტირება დონაციათა 100 %-ში უნდა ხდებოდეს ჰემაგლუტინაციის მეთოდით (TPHA) ან სწრაფი მარტივი ტესტების (RPR) მეთოდით.

ე) ყველა მიმწოდებელმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ საანგარიშო წლის ბოლოსათვის მიაღწევს უანგარო დონაციათა 5%-იან მაჩვენებელს.

2. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი არის სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრი, რომელიც ახორციელებს 1000 სისხლის ნიმუშის ტესტირებას ტრანსფუზიით გადამდებ ინფექციებზე ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით.

დანართი 13.1

კოდი	სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები	რაოდენობა
ორგანოს და ქსოვილის პოტენციური დონორის გამოკვლევა იმუნოფერმენტული მეთოდით		
HIVEIA	აივ ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში /შრატში იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	1
HCVEIA	HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში/შრატში იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	1
HBsAgEIA	HBsAg განსაზღვრა სისხლში/შრატში იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	1
ორგანოს და ქსოვილის პოტენციური დონორის გამოკვლევა ჰემაგლუტინაციის მეთოდით		
TPHA	სისხლის გამოკვლევა სპიროქეტაზე ჰემაგლუტინაციის მეთოდით	1

ორგანოს და ქსოვილის პოტენციური დონორის გამოკვლევა სწრაფი მარტივი/მეთოდით		
HIVRapid	აივ ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში/შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით	1
HBsAgRapid	HBsAg განსაზღვრა სისხლში/შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით	1
HCVRapid	HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში/შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით	1

RPR	სისხლში მკრთალი სპიროქეტას საწინააღმდეგო არასპეციფიური ანტისხეულების განსაზღვრა მიკროპრეციპიტაციის მეთოდით	1
-----	--	---

მომსახურება	2011		
	ერთეულის ღირებულება	წლიური რაოდენობა	სულ თანხა
დონორთა სისხლის სკრინინგული გამოკვლევა			
დონაციის ღირებულება	23	35000*	805,000
ადმინისტრირება, ხარისხის კონტროლი			
აივ ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში /შრატში იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	13.5	1000	13,500
HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში/შრატში იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	13.0	1000	13,000
HBsAg განსაზღვრა სისხლში/შრატში იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	13.0	1000	13,000
ქვეჯამი			39,500
ჯამი			844,500
*მინიმალური წლიური დონაციების რაოდენობა			

დანართი N14

ონკოლოგიურ დაავადებათა მართვა
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 14

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია 18 წლამდე და 60 წლის და უფროსი ასაკის ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება 18 წლამდე ასაკის და 60 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, გარდა „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.

2. პროგრამის მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) ონკოლოგიური (მათ შორის, ნეიროონკოლოგიური) დაავადებების მქონე მოზრდილ პაციენტთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;

ბ) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილ პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას;

გ) ონკოლოგიური (მათ შორის, ნეიროონკოლოგიური) დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;

დ) ონკოპემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურებები, თავის მხრივ, ითვალისწინებს:

- ა) სპეციალისტების კონსულტაციას;
- ბ) პაციენტების დიაგნოსტიკურ მომსახურებას;
- გ) ქირურგიულ ოპერაციებს;
- დ) ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თითოეული ჯგუფისათვის დანართი_14.1-ით განსაზღვრული ღირებულებისა.

2. პროგრამა ფარავს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისათვის დანართი_14.1-ში მოცემული ნოზოლოგიური ჯგუფების მკურნალობის ფაქტიური ხარჯების 70%-ს, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 30%-ს.

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად პროგრამის ხარჯებით და არ ითვალისწინებს თანაგადახდას ბენეფიციარის მხრიდან.

4. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ონკოპემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის“ დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5,657.4 ათასი ლარით დანართი_14.2-ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურ-ვილს.

2. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი – 14.1 – პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და ერთეულის ღირებულებები

N	ჯგუფი	ერთეულის ღირებულება
---	-------	---------------------

		(ლარი)
1.	ქირურგიული ოპერაციები	
1.1	მოზრდილთა	
1.1.1	ნეირონკოლოგია	3,000
1.1.2	აბდომინური; პროქტოლოგია; უროლოგია	1,760
1.1.3	თორაკალური	1,660
1.1.4	თავისერი; გინეკოლოგია	1,530
1.1.5	მამოლოგია; რბილი ქსოვილები	1,130
1.1.6	კრიოთერაპია და ამბულატორიული ოპერაციები	150
1.2	ბავშვთა	
1.2.1	ნეირონკოლოგია	3,000
1.2.2	სხვა ქირურგიული ოპერაციები	1,096
1.2.3	კრიოთერაპია და ამბულატორიული ოპერაციები	150
2.	ქიმიოთერაპია და/ან ჰორმონოთერაპია / სხივური თერაპია	
2.1	ქიმიოთერაპია (მანიპულაცია + მედიკამენტი), ჰორმონოთერაპია (ამბ,სტაც.)	650
2.2	სხივური თერაპია (გინეკოლ)	1,410
2.3	სხივური თერაპია (ამბ, სტაც.)	965
3.	გამოკვლევები	
3.1	დიაგნოსტიკა	200
3.2	კომპიუტერული ტომოგრაფია	200

დანართი – 14.2

ლონისძიება	წლიური ბიუჯეტი (ათასი ლარი)
ონკოლოგიური (მ.შ. ნეირონკოლოგიური) დაავადებების მქონე მოზრდილ პაციენტთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	3,461.6
ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილ პაციენტთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა	271.8
ონკოლოგიური (მ.შ. ნეირონკოლოგიური) დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	650.0
ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა	1,274.0
სულ	5,657.4

დანართი N 15

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 15

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

2. პროგრამის ამოცანებია:

- ა) თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით;
- ბ) თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩატარება პროგრამის მოსარგებლებებისათვის.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლებები

1. პროგრამის მოსარგებლებები არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, აგრეთვე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

1. პროგრამა მოიცავს:
 - ა) ჰემოდიალიზით უზრუნველყოფას:
 - ა.ა) ნეფროლოგის კონსულტაცია;
 - ა.დ) კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები საჭიროების მიხედვით;
 - ა.ე) სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა;
 - ა.ბ) სადიალიზე საშუალებებით/მასალით უზრუნველყოფა;
 - ა.გ) მედიკამენტებით უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში;
 - ბ) პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფას:
 - ბ.ა) ნეფროლოგის კონსულტაცია;
 - ბ.დ) კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები საჭიროების მიხედვით;
 - ბ.ე) კათეტერის იმპლანტაცია/ექსპლანტაცია;
 - ბ.ბ) სადიალიზე საშუალებებით/მასალით უზრუნველყოფა;
 - ბ.გ) მედიკამენტებით უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში;
 - გ) თირკმლის ტრანსპლანტაციას - თირკმლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარებას.
2. დიალიზის ერთი მეთოდიდან მეორე მეთოდზე პაციენტის გადაყვანა ხორციელდება შეუფერხებლად, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. ჰემოდიალიზის ერთი სეანსის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით დადგენილი კონკურსის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 40 ლარისა; პროგრამის ფარგლებში თვეში დაფინანსდება არაუმეტეს 13 სეანსისა. ამასთან, კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად, თუ საჭირო გახდა დამატებითი სეანს(ებ)ი, მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს უსასყიდლოდ.
2. პერიტონეული დიალიზის მომსახურების ანაზღაურება მოხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით ფაქტიური ხარჯის შესაბამისად.
3. თირკმლის ტრანსპლანტაციის ერთი ოპერაციის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 19 995.6 ლარისა.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამით გათვალისწინებული ჰემოდიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.
2. პერიტონეული დიალიზის მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, მიმწოდებელი წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 103 პაციენტის მომსახურებას.
3. ჰემოდიალიზისათვის საჭირო სადიალიზე მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამასთან, პერიტონული დიალიზის მომსახურების და მისთვის საჭირო სადიალიზე მასალის, კათეტერის და მედიკამენტების შესყიდვა ხორციელდება განცალკევებულად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით შესყიდული სადიალიზე მასალა და მედიკამენტები გადაეცემა პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელს.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი (17.05.2011 N 216)

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15, 758.1 ათასი ლარით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის ფარგლებში პერიტონული დიალიზის მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. პროგრამის ფარგლებში სადიალიზე მასალის, კათეტერისა და მედიკამენტების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

3. მე-3 მუხლით გათვალისწინებული ჰემოდიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

4. პროგრამის ფარგლებში ჰემოდიალიზისა და პერიტონული დიალიზის მომსახურების მიმწოდებელი გამოვლენილად ითვლება მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი საქონლის მიწოდების შემთხვევაში. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ჰემოდიალიზისა და პერიტონული დიალიზის მომსახურების მიმწოდებელი პროგრამით განსაზღვრული მომსახურების განხორციელებას იწყებს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი საქონლის (სადიალიზე მასალების, კათეტერის, მედიკამენტების) მიწოდებისთანავე. (31.03.2011 N 146)

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, გარდა პროგრამის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილისა.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილში პროგრამის განმახორციელებელია 2011 წლის პირველ აპრილამდე სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ხოლო 2011 წლის პირველი აპრილიდან – ამ ნაწილში მისი უფლებამონაცვლე სამინისტრო. (31.03.2011 N 146)

დანართი N 16

გულის ქირურგია

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 16

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, ასევე გულის იშემიური დაავადებით და გულის სიმსივნით დაავადებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება:

ა) გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კარდიოქირურგიული მკურნალობა;

ბ) გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიებით დაავადებული 60 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კარდიოქირურგიული მკურნალობა;

გ) 60 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კორონარული ანგიოპლასტიკა.

2. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ვერ ისარგებლებენ „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული სრულწლოვანი პირები.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პაციენტების კარდიოქირურგიულ მკურნალობას;

ბ) გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების კარდიოქირურგიულ მკურნალობას;

გ) კორონარულ ანგიოპლასტიკას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ოპერაციული ჩარევებისათვის განსაზღვრული ღირებულებისა დანართი_16.1-ის შესაბამისად.

2. კარდიოქირურგიული მკურნალობა ფინანსდება ნოზოლოგიური ჯგუფის ფაქტიური ღირებულების 70%-ით პროგრამის ხარჯებით, ხოლო პაციენტის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 30%-ს, გარდა გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პაციენტების კარდიოქირურგიული მკურნალობისა.

3. გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პაციენტების კარდიოქირურგიული მკურნალობა ანაზღაურდება სრულად თანაგადახდის გარეშე.

4. კორონარული ანგიოპლასტიკით მკურნალობა ფინანსდება ფაქტიური ღირებულების 50%-ით.

5. გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების კარდიოქირურგიული მკურნალობის და კორონარული ანგიოპლასტიკის კომპონენტების ფარგლებში პრიორიტეტულად ფინანსდება გადაუდებელი შემთხვევები. გეგმიური ჩარევებისთვის წესდება მომლოდინეთა სია.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება გეგმიური ოპერაციების შემთხვევაში ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერით, ხოლო სასწრაფო-გადაუდებელი ოპერაციების შემთხვევაში ანაზღაურება ხდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6,801.3 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) გულის თანდაყოლილი მანკების კარდიოქირურგიული მკურნალობა – 3,200.0 ათასი ლარი;

ბ) გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების კარდიოქირურგიული მკურნალობა – 2,651.3 ათასი ლარი;

გ) კორონარული ანგიოპლასტიკა – 950.0 ათასი ლარი.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაუდასტურებს პროგრამის განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. პროგრამის მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ გაწეული ფაქტიური ხარჯის ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს პროგრამით დადგენილი ასანაზღაურებელი თანხისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლეს ჩაუტარდა პროგრამით გათვალისწინებული ორი ან მეტი ოპერაციული ჩარევა, ძირითადი ოპერაციული ჩარევის საშუალო ღირებულების გარდა დაწესებულებას შეუძლია თანხა მოითხოვოს სხვა ჩარევაზე ფაქტიურად გაწეული ხარჯით, მაგრამ არა უმეტეს ღონისძიებათა ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულების 50%-ისა. აღნიშნული არ ეხება პირველადი დიაგნოსტიკისთვის განსაზღვრულ ღონისძიებებს.

დანართი_16.1 – პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და ერთეულის ღირებულებები

N	ნოზოლოგიური ჯგუფები	ღირებულება (ლარი)
1.	გულის თანდაყოლილი მანკები:	
ა)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევით	17,155
ბ)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე	11,992
გ)	პირველადი დიაგნოსტიკა	2,400
დ)	ენდოვასკულური ოპერაციები:	
დ.ა)	ამპლაცერი / პეისმეიკერი	8,551
დ.ბ)	ვალვულოპლასტიკა / რაშკინდი	3,016
2	გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიები:	
ა)	იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა	9,200
ბ)	შეძენილი მანკები:	
ბ.ა)	ერთი სარქელის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის პროთეზირება / პლასტიკა	12,000
ბ.ბ)	ბიოლოგიური სარქველი	17,185
ბ.გ)	ბენტალი/მწვავე მანკი/ინფარქტის შემდგომი გართულებები: სარქელოვანი პათოლოგია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა	16,000
ბ.დ)	ორი სარქელის/სარქელის და აღმავალი აორტის პროთეზირება	14,300
3	კორონარული ანგიოპლასტიკა	
ა)	კორონარული ანგიოპლასტიკა ერთი სტენტით	1,800
ბ)	კორონარული ანგიოპლასტიკა ორი ან მეტი სტენტით	2,100

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 17

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ინკურაბელური პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლები არიან ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. თელავისა და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე ინკურაბელური პაციენტები;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლენი არიან: (14.06.2011 N 240)

ბ.ა) საქართველოს მოქალაქე ონკოინკურაბელური პაციენტები, გარდა „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა;

ბ.ბ) საქართველოს მოქალაქე აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებული ინკურაბელური პაციენტები (2011 წლის 1 ივლისიდან);

გ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლები არიან 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, გარდა „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობას;

ბ) ონკოინკურაბელურ და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულ ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარულ პალიატიურ მზრუნველობას; (14.06.2011 N 240)

გ) 18 წლამდე ასაკის ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარულ პალიატიურ მზრუნველობას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს:

ა) ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. თელავისა და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ინკურაბელურ პაციენტთა ბინაზე ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის განხორციელებას შესაბამისი მობილური გუნდის მიერ;

ბ) ონკოინკურაბელური და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებული ინკურაბელური პაციენტების სტაციონარულ მოვლასა და სიმპტომურ მკურნალობას; (14.06.2011 N 240)

გ) 18 წლამდე ასაკის ინკურაბელური პაციენტების სტაციონარულ მოვლასა და სიმპტომურ მკურნალობას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების დაფინანსება და ანაზღაურების წესი განისაზღვრება შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების ერთეულია ვიზიტი, ერთი ვიზიტის ანაზღაურება შეადგენს 11 ლარს.

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების ერთეულია საწოლდღე, რომლის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 75 ლარს; (14.06.2011 N 240)

ბ.ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის პროგრამით იფარება მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის 70%, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 30%-ს;

ბ.ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება იფარება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას ბენეფიციარის მხრიდან;

გ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების ერთეულია საწოლდღე, რომლის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 60 ლარს. პროგრამით იფარება მომსახურების ფაქტიური ხარჯის 80%, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 20%-ს.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები (14.06.2011 N 240)

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 706.1 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი – 206.0 ათასი ლარი;

ბ) ონკოინკურაბელურ და აივ-ინფექციით/მიდსით დაავადებულ ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი – 300.0 ათასი ლარი; (14.06.2011 N 240)|

გ) 18 წლამდე ასაკის ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი – 200.1 ათასი ლარი.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი (14.06.2011 N 240)

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი N18

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 18

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება:

ა) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, გარდა „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.

ბ) ჰემოფილით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები. პროგრამის მოსარგებლეთა იდენტიფიკაცია ხორციელდება „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ „ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში გაცემული ვაუჩერების მიხედვით.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარულ მომსახურებას;

ბ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს:

ა) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში სტაციონარულ მომსახურებას დანართი_18.1-ის და დანართი_18.2-ის შესაბამისად;

ბ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში:

ბ.ა) ამბულატორიულ მომსახურებას;

ბ.ა.ა) ექიმი/ჰემატოლოგის კონსულტაციას;

ბ.ა.ბ) სისხლდენებისა და სისხლჩაქცევების დროს სისხლის კომპონენტების, ჰემოსტატიკების და ფაქტორების ტრანსფუზიას;

ბ.ა.გ) გამოკვლევებს: სისხლის საერთო ანალიზი, ანალიზი ინფექციური დაავადებების მარკერებზე (B და C ჰეპატიტზე სწრაფი ტესტებით);

ბ.ა.დ) მე-8, მე-9 და ვილზონის ფაქტორების გამოკვლევას;

ბ.ა.ე) თრომბოციტების ფუნქციურ გამოკვლევას.

ბ.ბ) სტაციონარულ მომსახურებას:

ბ.ბ.ა) ჰემორაგიული დიათეზის შემთხვევებში ჰოსპიტალურ მომსახურებას;

ბ.ბ.ბ) ჰემოფილური ართროპათიით გამოწვეულ ორთოპედიულ მომსახურებას;

ბ.გ) „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შეძენილი ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტინიჰიბიტორული პროთრომბინ კომპლექსის ბენეფიციართათვის მიწოდებას (მათ შორის, გართულებულ შემთხვევებში და ჰოსპიტალიზაციების დროს), რომელსაც უზრუნველყოფს ამ პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება სრულად ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს „3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი და სტაციონარული დახმარების“ სახელმწიფო პროგრამით ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დანართი_22.1-ით განსაზღვრული ღირებულებისა.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების მექანიზმები

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 950 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება – 750.0 ათასი ლარი;

ბ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება – 200.0 ათასი ლარი.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

2. პროგრამის ფარგლებში მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი –18.1 – მუდმივ და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებები, რომლებიც ფინანსდება პროგრამის ფარგლებში

	ნოზოლოგია	კოდი (ICD-10)
	ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა. ფიქსატორის ამოღება	Q65.1 Q65.0
	ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობები. ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაცია	Q65.1 Q65.0
	რეგიონული ენტერტი	K50
	მალაბსორბცია გამოწვეული ტოლერანტობის დარღვევით	K90.4
	ცელიაკია	K90.0
	ცისტური ფიბროზი (მუკოვისციდოზი)	E84
	იუვენილური დერმატომიოზიტი	M33.0
	იუვენილური მანკილოზირებელი სპონდილიტი (ბეხტერევის დაავადება)	M08.1
	რეიტერის დაავადება	M02.3
	სისტემური სკლეროზი (სკლეროდერმია)	M34.
	სისტემური წითელი მგლურა	M32.
	იუვენილური პოლიარტერიტი, ვეგნერის გრანულომატოზი, კან-ლორწოვან-ლიმფური კვანძების სინდრომი	M31.3
	არასრული ოსტეოგენეზი	Q78.0
	შაქრიანი დიაბეტი (18 წლის ასაკამდე)	E10
	ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა - ცალმხრივი, ორმხრივი	Q65.0

		Q65.1
	ოპერაცია: ბარძაყის თავის ჩაყენება, ძვალკვეთა, რეკონსტრუქცია	
	ლულოვანი ძვლების ქრონიკული ოსტეომიელიტის გამწვავება, კონსერვატიული მკურნალობა	M86
	ქრონიკული ოსტეომიელიტი-სეკვესტრექტომია	M86.6
	მინკოვსკი-შოფარის ჰემოლიზური ანემია	D58
	დიდი თალასემია (ჰემოლიზური კრიზით)	D56.0
	ანემია გამოწვეული ფერმენტული დარღვევებით	D55
	მედიკამენტოზური ჰემოლიზი	D59.8
	შონლაინ-ჰენოხის დაავადება	D69.0
	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა	D69.0
	იუვენილური რევმატოიდული ართრიტი	M08.0
	ჰიპერთირეოიდიზმი ჩიყვით და ჩიყვის გარეშე	E05

დანართი_18.2 – იშვიათი დაავადებების ჩამონათვალი, რომლებიც ფინანსდება პროგრამის ფარგლებში

	ნოზოლოგია	კოდი (ICD-10)
1	მწვავე ინტერმიტირებადი პორფირია	E80.2
2	ადისონის დაავადება	E27.1
3	ალსტრიომის სინდრომი	E27.1
4	ბარტერის სინდრომი	E26.8
5	ბეხტესის სინდრომი	M35.2
6	უიპლის დაავადება	M 14.8*
7	ბილიარული ატრეზია	Q 44.2
8	კონის სინდრომი	E26.0
9	კრონკჰაიტ-კანადას დაავადება	D12.6
10	უშაქრო დიაბეტი	E23.2
11	გარდნერის სინდრომი	D69.2
12	გლუკოზა-6-ფოსფატდეჰიდროგენაზას დეფიციტი	D55.0
13	ჰემოქრომატოზი	E83.1
14	ჰემოფილია	D66
15	ინსულინომა	E16.1
16	ლაიმის დაავადება	A 69.2
17	ფენილკეტონურია	E70.1
18	ჰომოცისტინურია	E72.1
19	ფეოქრომოციტომა	C74
20	ვილმსის სიმსივნე	C64
21	ვულგარული იქტიოზი	Q 80.0
22	ჰიპოფიზარული ნანიზმი	E23.0

დანართი N 19

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 19

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.
2. პროგრამის ამოცანაა მოსახლეობის უზრუნველყოფა უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები (24.05.2011 N 220)

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.
2. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებით ვერ ისარგებლებენ „სახელმწიფო პროგრამების ფარ-გ-ლე-ში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გა-სა-ტა-რე-ბელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების გან-სა-ზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეები.
3. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურ-ებ-ის მოსარგებლეები არიან პროგრამა „პატრიოტის“ მონაწილეები.
4. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურ-ებ-ას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარებას:
 - ა.ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარებას – ბრიგადის ვიზიტს პაციენტთან, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მინისტრის შესაბამისი აქტით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების ნუსხითა და დანართი 19.2-ით განსაზღვრული სამედიცინო დანიშნულების საგნებით, საჭიროების შემთხვევაში – ჰოსპიტალიზაციის უზრუნველყოფას, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას კატასტროფების დროს და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტიდან კოორდინაციის საფუძველზე მომსახურების გაწევას; (14.06.2011 N 240)
 - ა.ბ) პროგრამის მართვას, კერძოდ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიწოდების ორგანიზებისათვის სარეტრანსლაციო (უკაბელო ალტერნატიული ინფორმაციის გადაცემათა სისტემა) სისტემათა ფუნქციონირებას, რეტრანსლატორების ტექნიკურ მართვას;
- ბ) სამედიცინო ტრანსპორტირებას:
 - ბ.ა) რეფერალურ დახმარებას - კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვას, ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაციას, მდგომარეობის სტაბილიზაციას, გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირებას;
 - ბ.ბ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;
 - ბ.გ) საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლებას და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას.
- გ) „პროგრამა პატრიოტის განხორციელების შესახებ“ საქარ-თვე-ლოს პრეზიდენტის 6.05.2011წ. №06/05/01 განკარგულებით გან-სა-ზღვრული ღო-ნისძიებების უზრუნველყოფას; (24.05.2011 N 220)
- გ.ა) პატრიოტთა ბანაკის უზრუნველყოფას ექიმის მომსახურ-ებით;
- გ.ბ) პატრიოტთა ბანაკის უზრუნველყოფას მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. სასწრაფო სამედიცინო დახმარება:

ა) სასწრაფო დახმარების სამსახურები ფინანსდებიან გლო--ბალური ბიუჯეტის პრინციპით დანართი _ 19.3-ისა და და-ნარ-თი _ 19.3¹-ის შესაბამისად; (21.04.2011 N 186)

ბ) ერთი სასწრაფო დახმარების სამსახურის ხარჯებში გათვალისწინებულია დირექტორის, 4 დისპეტჩერის (გამონაკლისია ქ. ბათუმის და ქ. ქუთაისის სასწრაფო დახმარების სამსახურები, სადაც არის 9 დისპეტჩერი), დამლაგებელ-სანიტრის, ბულალტერ-მოლარისა და ბრიგად(ებ)ის (ერთ ბრიგადაში არის 4 ექიმი, 4 ექთანი და 4 მძღოლი) ხელფასები, საშვებულებო ხარჯები, მედიკამენტების, მანქანების მომსახურების, ოფისის, კომუნალური, მობილური-კავშირგაბმულობის ხარჯები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა; (14.06.2011 N 240)

გ) სასწრაფო დახმარების სამსახურებისათვის საჭირო საწვავის რაოდენობა განისაზღვრება ერთ ბრიგადაზე საშუალოდ დღეში 30 ლიტრით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 900 ლიტრისა;

დ) საწვავის შესყიდვა განხორციელდება ცენტრალი-ზე-ბუ-ლად, გარდა დანართი _ 19.3¹-ში მითითებული სასწრაფო დახმარების სამსახურებისა, რომლებიც საწვავს შეისყიდვიან ინდივი-დ-უ-ა-ლ-ურად, მათთვის გამოყოფილი თვიური ასიგნების ფარგ-ლებ-ში; (21.04.2011 N 186)|

ე) პროგრამის მართვაში მონაწილე დაწესებულების მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მართვის ხარჯები ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიწოდების ორგანიზებისათვის სარეტრანსლაციო (უკაბელო ალტერნატიული ინფორმაციის გადაცემათა სისტემა) სისტემათა ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულების დაფარვას.

1¹. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო დახ-მა-რების სამსახურების ხარჯებში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვე-პუნ-ქ-ტით გათვალისწინებულ ხარჯებთან ერთად, გაითვა-ლის-წინება აგრეთვე სა-წვავის ხარჯები დანართი _ 19.3¹ შე-სა-ბა-მი-სად. (21.04.2011 N 186)

2. სამედიცინო ტრანსპორტირება:

ა) რეფერალური დახმარება კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვის, ადგილზე კონსულტაციის, მდგომარეობის სტაბილიზაციის და პაციენტთა ტრანსპორტირების დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად:

ა.ა) დაუზუსტებელი სამედიცინო დახმარება რეანიმობილით (კონსულტაცია, სტაბილიზაცია, ტრანსპორტირება):

ა.ა.ა) 25 კმ-იანი ზონა – 79.0 ლარი;

ა.ა.ბ) 150 კმ-იანი ზონა – 373.0 ლარი;

ა.ა.გ) 250 კმ-იანი ზონა – 553.0 ლარი.

ა.ბ) დაუზუსტებელი სამედიცინო დახმარება (კონსულტაცია):

ა.ბ.ა) 25 კმ-იანი ზონა – 44.4 ლარი;

ა.ბ.ბ) 150 კმ-იანი ზონა – 266.4 ლარი;

ა.ბ.გ) 250 კმ-იანი ზონა – 444.0 ლარი.

ა.გ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ერთეული შემთხვევის თანმხლები კონსულტაცია – 50.0 ლარი. (14.06.2011 N 240)|

ბ) ამ პროგრამის მე-3 მუხლის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების ფინანსური ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

3. პროგრამა „პატრიოტი“ განსაზღვრული ღონისძიებების ფარ-გლებში: (24.05.2011 N 220)

ა) თითოეულ ბანაკს ყოველთვიურად ემსახურება ერთი ექი-მი. ყოველთვიურად ექიმის სახელფასო ფონდი განისაზღვრება 600 ლა-რით;

ბ) თითოეული ბანაკისათვის ყოველთვიურად შეისყიდება მე-დი-კამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები (დანართი 19.2¹) არა უმეტეს 1000 ლარის ფარგლებში.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველსაყოფად საწვავის შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გარდა დანართ _ 19.3¹-ში მითითებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურებისა. (21.04.2011 N 186)

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამის მე-3 მუხლის „ა“, „ბ.ბ“, „ბ.გ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა სასწრაფო დახმარების სამსახურებისგან ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (24.05.2011 N 220)

3. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 24,480.0 ათასი ლარით, დანართი_19.4-ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“, „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

2. მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

3. პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება სასწრაფო დახმარების სამსახურებისგან, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. (24.05.2011 N 220)

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო პროგრამას კოორდინირებას უწევს სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის სახით.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება ქ. თბილისის გარდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებით და სპეციალიზებული სანიტარული ავტომობილებით დაკომპლექტება ხორციელდება შემდეგი გაანგარიშებით:

ა) არაუმეტეს ერთი ბრიგადისა ყოველ 30 000 მოსახლეზე;

ბ) არანაკლებ ორი სპეციალიზებული სანიტარული ავტომობილებით ყოველ მუნიციპალიტეტზე;

გ) რიგ შემთხვევებში შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით.

3. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების დაფინანსება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

დანართი_19.1 ამოღებულია (11.03.2011 N 117)

დანართი_19.2 – სასწრაფო დახმარების ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხა

N	დასახელება	რაოდენობა
1	ამბუ ნაკრებით	1
2	არასტერილური ხელთათმანი	10
3	ბამბა არასტერილური	1
4	ლეიკოპლასტირი	2
5	ბინტი არასტერილური 7X14	5
6	ბინტი სტერილური 7X14	3
7	ცხვირის კანულა ჟანგბადის	2
8	დრენაჟის მილი	1
9	ელასტიური ბინტი	2
10	ერთჯერადი სკალპელი	2
11	ფოლიის კათეტერი 16ფრ.	1
12	გადასასხმელი სისტემა უფილტრო	1
13	გრძელი საიმობილიზაციო ფარი	1
14	ჰაერგამტარი (ნაკრები)	1
15	კისრის საყელო უნივერსალური	1
16	კრამერის არტაშანი	1
17	ლარინგიალური ნილაბი	1
18	მაკრატელი დიდი	1
19	ნაზოგასტრალური ზონდი N8	1
20	პერიფერიული ვენის კათეტერი 20G	3
21	პერიფერიული ვენის კათეტერი 24G	2
22	შპრიცი ერთჯერადი 10მლ	10
23	შპრიცი ერთჯერადი 20მლ	10
24	შპრიცი ერთჯერადი 2მლ	10
25	შპრიცი ერთჯერადი 5მლ	10
26	შპრიცი ერთჯერადი ინსულინის	10
27	სტერილური საფენი 4X4	2
28	თერმომეტრი	1
29	წნევის აპარატი ფონენდოსკოპით	1
30	ავადმყოფის საიზოლაციო ერთჯერადი ზეწარი	3

დანართი 19.2¹ – პროგრამა „პატრიოტით“ განსაზღვრული ღო-ნის-ძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტები-სა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხა (24.05.2011 N 220)

№	დასახელება	დოზა/ფორმა	ფორმა/ერთეული	რაოდენობა
1	იმოდიუმი	2 მგ	კაფსულა	80
2	ბარალგინი	5მ ლ	ამპულა	45
3	ბარალგინი	500 მგ	ტაბლეტი	60
4	პარაცეტამოლი	500 მგ	ტაბლეტი	90

5	სუპრასტინი	2% 1 მლ	ამპულა	30
6	სუპრასტინი	25 მგ	ტაბლეტი	60
7	პანთენოლი	დამწვრობის ქაფი	ბალონი	6
8	სოფრადექსი	ყურის/თვალის წვეთი	ფლაკონი	6
9	იოდინოლი	100 მლ	ფლაკონი	6
10	ფარინგოსეპტი	20 ტაბლეტი	კოლოფი	6
11	სალბუტამოლის სულფატი- ინჰალაციური აეროზოლი	100 მკგ 200 დოზა	ბალონი	6
12	კორვალოლი	25 მლ	ფლაკონი	9
13	ვალერიანის წვეთები	30 მლ	ფლაკონი	9
14	დროტავერინის ჰ/ქ (ნო-შპა)	40 მგ	ტაბლეტი	300
15	კოფეინი	10% 1 მლ	ამპულა	15
16	გააქტივებული ნახშირი	250 მგ	ტაბლეტი	120
17	დექსამეტაზონი	4 მგ/მლ	ამპულა	30
18	პრედნიზოლონი	30 მგ/მლ	ამპულა	30
19	სპირტი	96%	ფლაკონი	24
20	რეჰიდრონი		პაკეტი	60
21	ამოქსიცილინი	500 მგ	ტაბლეტი/ კაფსულა	90
22	ამინოკაპრონის მჟავა	5%-100 მლ	ფლაკონი	3
23	წყალბადის ზეჟანგი	3% 40 მლ	ფლაკონი	15
24	შპრიცი	5 მლ	ცალი	150
25	ბამბა		შეკვრა	30
26	აცეტილსალიცილის მჟავა	300 მგ	ტაბლეტი	30
27	ქლორჰესიდიდინის დიგლუკონატი	5%, 1 ლ	ფლაკონი	3
28	იოდი	10%, 200 მლ	ფლაკონი	3
29	ტეტრაციკლინი HCL	1%, 5 მგ	თვალის მალამო	3
30	ბინტი	7X14 სმ, სტერილური	ცალი	40
31	ბინტი	5X10 სმ, სტერილური	ცალი	10
32	ელასტიური ბინტი	8სმX4მ		6
33	ხელთათმანები სამედიცინო გასინჯვისათვის	ერთჯერადი, ლატექსი, არა-სტერილური	ყუთი/100	3
34	ლეიკოპლასტირი	ბაქტერიოცი- დული (სანტავიკი)	კოლოფი/30 შეკვრა 300 ცალი	3
35	ლეიკოპლასტირი	5X2.5	ცალი	3
36	საოპერაციო მაკრატელი			2
37	დანის ბასრი პირი	1	პაკეტი/1	15

38	ჰემოსტატიური ქირურგიული პინცეტი	კოხერი 14 სმ, სწორი, 1X2 კბილანით	ყუთი	3
39	კორცანგი	15.5 სმ		2
40	ტუალეტის საპონი	100გრ	ცალი	3
41	საპნის ყუთი	110X70X35მმ	ცალი	1
42	უსაფრთხო ქინძისთავეები	საშუალო ზომის (40 მმ) სწორი, ნიკელით დაფარული	ყუთი	3
43	პირსახოცი	42X50 სმ, 100% ბამბა	ცალი	1
44	მედიკამენტების ჩანთა		ცალი	2

დანართი _ 19.3 _ სასწრაფო დახმარების სამსახურე-ბისა-თვის თვის ბიუჯეტის ლიმიტი (ლარებით)(21.04.2011 N 186)

NN	სასწრაფო დახმარების სამსახურების დასახელება	უწყვეტობის ბრძანებით	პროგრამით, საწვავის გარეშე
1	ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარება	8 730,4	7 161,6
2	მპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	65 630,4	51 511,2
3	მპს „ქედის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	15 705,4	12 567,8
4	მპს „ქობულეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	29 655,4	23 380,2
5	მპს „მუხანგის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	15 705,4	12 567,8
6	მპს „ხელვაჩაურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	29 655,4	23 380,2
7	მპს „ხულოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
8	მპს „ოზურგეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	29 655,4	23 380,2
9	მპს „ლანჩხუთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
10	მპს „ჩოხატაურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
11	მპს „ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	65 630,4	51 511,2
12	მპს „ტყიბულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
13	მპს „წყალტუბოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
14	მპს „ჭიათურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	36 630,4	28 786,4
15	მპს „ბაღდათის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	15 705,4	12 567,8

16	მპს „ვანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
17	მპს „ზესტაფონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
18	მპს „თერჯოლის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
19	მპს „სამტრედიის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
20	მპს „საჩხერის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	29 655,4	23 380,2
21	მპს „ხარაგაულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
22	მპს „ხონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
23	სასწრაფო დახმარების სადგური სს „მაშველი”	8 730,4	7 161,6
24	მპს „თელავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	29 655,4	23 380,2
25	მპს „ახმეტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	29 655,4	23 380,2
26	მპს „გურჯაანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
27	მპს „დედოფლისწყაროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
28	მპს „ლაგოდეხის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
29	მპს „საგარეჯოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
30	მპს „სიღნაღის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
31	მპს „ყვარლის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
32	მპს „მცხეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
33	მპს „ახალგორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
34	მპს „დუშეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
35	მპს „თიანეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
36	მპს „ყაზბეგის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8
37	მპს „ამბროლაურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	22 680,4	17 974,0
38	მპს „სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი “ლენტეხი”	22 680,4	17 974,0
39	მპს „ონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”	15 705,4	12 567,8

40	მპს „ცაგერის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
41	მპს „ზუგდიდის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	43 605,4	34 192,6
42	მპს „ქ. ფოთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	36 630,4	28 786,4
43	მპს „აბაშის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
44	მპს „მარტვილის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03“	22 680,4	17 974,0
	K40.9	ცალმხრივი ან დაუზუსტებელი საზარდულის თიაქარი გაუვალობის ან განგრენის გარეშე			
	K42.0	ჭიპის თიაქარი გაუვალობით, განგრენის გარეშე			
	K42.9	ჭიპის თიაქარი ობსტრუქციის ან განგრენის გარეშე			
	K43	მუცლის წინა კედლის თიაქარი			
	K56.1	ჩაჭედვა (ინვაგინაცია)			
	K60.3	ანუსის ფისტულა			
	K60.4	სწორი ნაწლავის ფისტულა			
	K61.0	ყითას აბსცესი			
	K61.1	რექტული აბსცესი			
	K61.2	ანო-რექტული აბსცესი			
	K62.2	ანუსის პროლაფსი			
	K62.4	ყითას და სწორი ნაწლავის სტენოზი			
	K62.8	ყითას და სწორი ნაწლავის სხვა დაუზუსტებელი ავადმყოფობები			

		[პროექტიტი]			
		K92.0	ჰემატემეზისი		
		K92.1	მელენა		
		K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი		
		M86	ოსტეომიელიტი		
		N83.0	საკვერცხის ფოლიკულური კისტა		
		N83.2	საკვერცხის სხვა და დაუზუსტებელი კისტები		
		N83.5	საკვერცხის, საკვერცხის ფეხის და ფალოპიუსის მილის შემოგრება		
		P38	ახალშობილთა ომფალიტი მსუბუქი სისხლდენით ან მის გარეშე		
		Q42.0	სწორი ნაწლავის თანდაყოლილი არარსებობა, ატრეზია და სტენოზი ფისტულასთან ერთად		
		Q42.2	ყიტას თანდაყოლილი არარსებობა, ატრეზია და სტენოზი ფისტულასთან ერთად		
		Q43	ნაწლავთა სხვა თანდაყოლილი ანომალიები		
		RO4.2	ჰემოპტიზისი [სისხლის ამოხველება]		
		T14.1	სხეულის დაუზუსტებელი უბნის ღია ჭრილობა		
		T17	უცხო სხეული სასუნთქ გზებში		
		T18	უცხო სხეული საჭმლის მომნელებელ ტრაქტში		
		T28.1	საყლაპავის თერმული დამწვრობა		
19 ყბა-სახის ქირურგია					
	ა) ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიით		1032	962	
		J34.0	ცხვირის აბსცესი, ფურუნკული და კარბუნკული		
		L02.0	კანის აბსცესი, სახის ფურუნკული და კარბუნკული		
		M86.0	მწვავე ჰემატოგენური ოსტეომიელიტი		
		M86.4	ქრონიკული ოსტეომიელიტი სადრენაჟო ფისტულით		
		M86.5	სხვა ქრონიკული ჰემატოგენური ოსტეომიელიტი		
	ბ) III-IV სირთულის ოპერაციები		989	706	
		D16.5	ქვედა ყბის ძვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე		
		K07	ყბასახის ანომალიები (თანკბილვის ანომალიების ჩათვლით)		
		K09	პირის ღრუს კისტები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში		
		K11.6	სანერწყვე ჯირკვლის მუკოცელე (რეტენციული კისტა)		

		M24.6	სახსრის ანკილოზი (საფეთქელ-ქვედაყბის)			
		Q35	სასის ნაპრალი (მგლის ხახა)			
		Q36	ტუჩის ნაპრალი (კურდღლის ტუჩი)			
		S01.4	ლოყის და საფეთქელ-ქვედა ყბის არის ღია ჭრილობა (უცხო სხეულით)			
		S01.5	ტუჩის და პირის ღრუს ღია ჭრილობა (უცხო სხეულით)			
		S02.8	ქალას და სახის სხვა ძვლების მოტეხილობა			
	გ)	სხვა		288	258	59
		L02.0	კანის აბსცესი, სახის ფურუნკული და კარბუნკული			
		L04.0	სახის, თავისა და კისრის მწვავე ლიმფადენიტი			
		M86.0	მწვავე ჰემატოგენური ოსტეომიელიტი			
		M86.4	ქრონიკული ოსტეომიელიტი სადრენაჟო ფისტულით			
		M86.5	სხვა ქრონიკული ჰემატოგენური ოსტეომიელიტი			
		Q38.0	ტუჩების თანდაყოლილი ანომალიები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში			
		Q38.1	ანკილოგლოსია			
		S00.5	ტუჩის და პირის ღრუს ზედაპირული ტრავმა			
		S01.4	ლოყის და საფეთქელ-ქვედაყბის არის ღია ჭრილობა			
		S01.5	ტუჩის და პირის ღრუს ღია ჭრილობა			
		S02.2	ცხვირის ძვლების მოტეხილობა			
		S02.4	ყვრიშალის და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა (დეფორ. I ტიპი)			
		S02.6	ქვედა ყბის მოტეხილობა			
		S02.8	ქალას და სახის სხვა ძვლების მოტეხილობა			
20	ჰემატოლოგია			280	234	
		D55	ფერმენტული დარღვევებით გამოწვეული ანემია			
		D56	თალასემია			
		D59	შეძენილი ჰემოლიზური ანემია			
		D66	VIII ფაქტორის მემკვიდრული დეფიციტი			
		D67	IX ფაქტორის მემკვიდრული დეფიციტი			
		D68.0	ვილბრანდის ავადმყოფობა			
		D68.1	XI ფაქტორის მემკვიდრული დეფიციტი			
		D69.0	ალერგიული პურპურა			
		D69.3	იდოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა			

მოსახლეობის ურგენტული მომსახურება

ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 23

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია 60 წლის ზემოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება 60 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეები.

2. პროგრამის მომსახურებით ვერ ისარგებლებენ “სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლები.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) კრიტიკული მდგომარეობების მართვას (პირველი 6 დღე);
- ბ) დანართი_23.1-ში მოცემული დაავადებების სტაციონარულ მკურნალობას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დანართი_23.1-ით განსაზღვრული ღირებულებისა.

2. პროგრამა ფარავს დანართი_23.1-ში მოცემული ნოზოლოგიების გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობის ფაქტიური ხარჯების 75%-ს, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 25%-ს.

3. თანაგადახდას არ ექვემდებარება მაღალმთიან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელებული მომსახურება.

4. კრიტიკული მდგომარეობების დროს პირველი 6 დღის მკურნალობის საფასური პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება სრულად ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს:

- ა) თბილისსა და ქუთაისში – 2177 ლარისა;
- ბ) ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდსა და გორში – 1893.5 ლარისა;
- გ) სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში – 1760.5 ლარი.

5. კრიტიკული მდგომარეობისას პირველი 6 დღის განმავლობაში გაწეული ხარჯები პაციენტის მხრიდან თანაგადახდას არ ექვემდებარება.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი მკურნალობის პირველი 6 დღის დასრულებამდე სხვადასხვა მიზეზით (სამედიცინო ჩვენებით ან პაციენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოთხოვნით) გადაჰყავთ პროგრამაში მონაწილე სხვა სამკურნალო დაწესებულებაში, სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელი თანხა უნდა გაიყოს და გადანაწილდეს თითოეულ სამედიცინო დაწესებულებაში გატარებული დღეების შესაბამისად. ამავე პრინციპით დაფინანსდება ის შემთხვევები, როდესაც კრიტიკული მდგომარეობის მკურნალობა სრულდება 6 დღეზე ადრე.

7. ორი და მეტი ნოზოლოგიური კოდის არსებობის შემთხვევაში ანაზღაურება ხდება მოსარგებლისთვის სხვადასხვა ნოზოლოგიური კოდის მიხედვით გაწეული მომსახურებების ჯამური ფაქტობრივი ხარჯით, მაგრამ არა უმეტეს ძირითადი ნოზოლოგიური კოდის ლიმიტის მთლიანი

ღირებულების და თითოეული დამატებითი კოდის ლიმიტის 50%-ის ჯამისა (აღნიშნული პუნქტი ამოქმედდეს 2011 წლის 31 მაისის შემდგომ პერიოდში დასრულებული შემთხვევების დაფინანსებისას. (14.06.2011 N 240)

8. არასწორად ჩატარებული მკურნალობის შედეგად წარმოშობილი გართულებული შემთხვევა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება, ამასთან ასეთი შემთხვევა პაციენტისთვის უფასოა და ხარჯები სამედიცინო დაწესებულების მიერ უნდა იქნეს დაფარული.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

პროგრამის ფარგლებში მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 11,544.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი (14.06.2011 N 240)

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. ამ პროგრამის მიზნებისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება არის მომსახურება (ოპერაციული თუ კონსერვატიული მკურნალობა მედიკამენტების ჩათვლით, სამედიცინო მანიპულაციები, სამკურნალო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები), რომელიც საჭიროებს პაციენტის სტაციონარში 24 (ოცდაოთხი) საათზე მეტი დროით მოთავსებას.

2. დაუშვებელია პროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იგივე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში გამოყენება, გარდა კრიტიკული მდგომარეობებისა.

3. პროგრამის მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია მოითხოვს მხოლოდ გაწეული ფაქტიური ხარჯის ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს პროგრამით დადგენილი ღირებულებისა.

დანართი 23.1 – პროგრამით გათვალისწინებული მომსახურ-ე-ბა და ერთეულის ღირებულებები (24.05.2011 N 220)

ნოზოლოგიათა ჯგუფები			საშუალო ღირებულება		
			თბილისი, ქუთა-ისი	ბათუმი, გორი, რუსთავი, ზუგდიდი	სხვა
1	ალერგოლოგია				
	ა)	ასთმა	303	296	279
		J45 ასთმა (შეტევათა სტადია)			
	ბ)	ალერგია ანაფილაქსიური მდგომა-რე-ო-ბისა და ხორხის შეშუპების განვითა-რე-ბის ტენდენციით	79	77	74
		L50 ურტიკარია			
		T78.1 საკვების მავნე რეაქციები (კვებ-ბითი			

			ალერგია)			
		T78.3	ანგიონევროზული შეშუპება			
		T78.4	ალერგია, დაუზუსტებელი (ალერგია მწერის ნაკბენზე)			
		T88.7	წამლის ან მედიკამენტის და-უ-ზუსტებელი გვერდითი ეფ-ექტი (წამლისმიერი ალ-ერ-გია)			
		T80.6	სხვა შრატისმიერი რეაქცია (შრატისმიერი დაავადება)			
2	ანგიოლოგია					
		ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებითა და ინტენსიური თერაპიით		3321	3202	
		I74	არტერიების ემბოლია და თრომბოზი			
		I87	ვენების სხვა დაზიანებები (ფილტვების არტერიების ემ-ბოლია ან მისი განვითარების საშიშროება)			
		S35.0	მუცლის აორტის დაზიანება			
		S35.1	ქვედა ღრუ ვენის დაზიანება			
		I71.3	მუცლის აორტის ანევრიზმა, გამსკდარი			
		I71.5	თორაკოაბდომინური ანევრიზმა გასკდომით			
		I72	სხვა ანევრიზმა (გამსკდარი):			
		S15.0	საძილე არტერიის და-ზიან-ება			
		S25.1	უსახელო ან ლავიწქვეშა არტერიის დაზიანება			
		S25.3	უსახელო ან ლავიწქვეშა ვენის დაზიანება			
		S35.5	თემოს სისხლძარღვების და-ზიანება (თემოს არტერიის ან ვენის)			
		S45.0	ილიის არტერიის დაზიან-ება			
		S45.1	მხრის არტერიის დაზიანება			
		S75.0	ბარძაყის არტერიის დაზიან-ება			
		S75.1	ბარძაყის ვენის დაზიანება მენჯ-ბარძაყის სახსრის და ბარ-ძაყის დონეზე			
		S85.0	მუხლის არტერიის დაზიან-ება			
3	გასტროენტეროლოგია			202	198	
		K72.0	ღვიძლის მწვავე და ქვე-მწვა-ვე უკმარისობა (ენცეფალო-პათია)			
4	ენდოკრინოლოგია			241	233	223
		E27.2	ადისონური კრიზი			
		E05.5	თირეოიდული კრიზი			
		E10.1	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, კეტო-ა-ცი-დოზით			
		E11.1	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი			

			დიაბეტი, კეტო-ცი-დოზით			
		E03.5	მიქსედემური კომა			
5	კარდიოლოგია					
	ა)	ინფარქტი		581	554	300
		I21	მიოკარდიუმის მწვავე ინ-ფარ-ქტი			
	ბ)	სხვა კარდიოლოგიური პათოლოგიები		147	143	115
		I20.0	არასტაბილური სტენოკარდია			
		I50.1	მარცხენა პარკუჭოვანი უკ-მა-რი-სობა, მწვავე			
		I50.9	გულის მწვავე უკმარისობა			
		I47	პაროქსიზმული ტაქიკარდია			
		I48	წინაგულების ფიბრილაცია და თრთოლვა			
6	კარდიოქირურგია			1732	1609	1455
		S26	გულის დაზიანება			
7	ნევროლოგია					
	ა)	ცნს-ის ანთებითი ავადმყოფობები/-ეპი-ზო-დური და პაროქსიზმული დარ-ღვე-ვები/-პოლინეიროპათიები		419	396	362
		G61	ანთებითი პოლინეიროპათია			
		G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი			
		G45	გარდამავალი ცერებრული იშ-ემიური შეტევები და მას-თან დაკავშირებული სინ-დრომი			
		G46	თავის ტვინის სისხლძარ-ღ-ვო-ვანი სინდრომები ცერებ-რო-ვა-სკულური დაავად-ებე-ბ-ის დროს			
	ბ)	ეპილეფსია/ნერვკუნთოვანი ავად-მყო-ფო-ბები/ნერვული სისტემის სხვა და-ზი-ა-ნებები		124	116	105
		G70	Myasthenia gravis (მძიმე მი-ას-თენია) და სხვა ნერვკუნ-თო-ვანი დაზიანებანი			
		G40	ეპილეფსია (სერიული გულ-ყრე-ბი)			
		G93.2	კეთილთვისებიანი ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია			
		G93.6	ცერებრული შეშუპება			
8	ნეიროქირურგია					
	ა)	ოპერაციული მკურნალობა/-ინტენსი-უ-რი თერაპია		2482	2196	2147
		S06.4	ეპიდურული სისხლჩაქცევა			
		S06.5	ტრავმული სუბდურული სის-ხ-ლჩაქცევა			
		S06.6	ტრავმული სუბრაქნოიდული სისხლჩაქცევა			
		S06.8	სხვა ინტრაკრანიალური და-ზი-ა-ნებანი			

		I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა			
		S14	ზურგის ტვინის და ნერვების დაზიანება კისრის დონეზე			
		G93.5	თავის ტვინის კომპრესია			
		G93.6	ცერებრული შეშუპება			
		S12	კისრის მალეების მოტეხილობა			
		S22.0	გულმკერდის მალის მოტეხილობა			
		T09	ხერხემლის და ტორსის სხვა მოტეხილობები, დაუზუსტებელ დონეზე			
		S02.1	ქალას ფუძის მოტეხილობა			
		S06.3	თავის ტვინის ფოკალური დაზიანება			
		S02.0	ქალასარქველის მოტეხილობა			
		G91	ჰიდროცეფალია			
	ბ)	სკალპის ღია ჭრილობა/შერყევა		161	150	134
		S01.0	სკალპის ღია ჭრილობა			
		S06.0	შერყევა			
9	ნეფროლოგია			222	212	185
		N17	თირკმლის მწვავე უკმარისობა			
		N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი			
		N10	მწვავე ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი [მწვავე პიელონეფრიტი]			
10	ოტოლარინგოლოგია					
	ა)	IV სირთულის ოპერაციები		1132	1128	
		J01	მწვავე სინუსიტი (ქალას-შიდა ან ორბიტალური გართულებებით)			
		G06.0	ოტოგენური ინტრაკრანიალური აბსცესი და გრანულომა			
		H83.0	ლაბირინთიტი			
		H66.4	შუა ყურის მწვავე ანთება (გართულებული მასტოიდიტი)			
		H66.2	ქრონიკული ეპიტიმპანურ-ანტრალური ჩირქოვანი შუა ოტიტი (გართულებული ფაციტალისით)			
		H66.3	სხვა ქრონიკული ჩირქოვანი შუა ოტიტი (გართულებული ფაციტალისით)			
	ბ)	III სირთულის ოპერაციები		197	173	147
		S19.9	კისრის დაუზუსტებელი დაზიანებები			
		J05	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი და ეპიგლოტიტი			
		T17.3	უცხო სხეული ხორხში			
		T17.4	უცხო სხეული ტრაქეაში			
		J39.0	რეტროფარინგეული და პარა-			

			ფარინგეული აბსცესი			
	გ)	უკანა ტამპონადა		117	110	91
		R04.0	ცხვირიდან სისხლდენა (უკ-ა-ნა ტამპონადით)			
11	ოფთალმოლოგია			384	362	
		S05.2	თვალის დაფლეთა და გა-ხეთ-ქვა თვალსშიდა ქსოვი-ლის გამოვარდნით ან და-კარ-გვით			
		S05.3	თვალის დაფლეთა თვალ-ს-ში-და ქსოვილის გამოვარ-დ-ნის ან დაკარგვის გარეშე			
		S05.5	თვალის კაკლის გამჭოლი ჭრილობა უცხო სხეულით			
		S05.6	თვალის კაკლის გამჭოლი ჭრილობა უცხო სხეულის გა-რეშე			
		S05.7	თვალის ავულისია			
12	პულმონოლოგია			379	366	348
		J12-J18	პნევმონია (საშუალო და მძიმე მიმდინარეობის)			
		J44.1	ფილტვების ქრონიკული ობ-ს-ტრუქციული დაავადება გამწვავებული, დაუზუსტებელი			
13	რევმატოლოგია			249	233	
	ა)	შემავრთებელი ქსოვილის სისტემური და-ზიანებები (IIb.--IIIb. აქტივობა, შინა-გა-ნი ორგანოების გამოხატული დაზ-ია-ნებით)				
		M30	კვანძოვანი პერიარტერიიტი და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები			
		M31	ნეკროზით მიმდინარე სხვა ვასკულოპათიები			
		M32	სისტემური წითელი მგლუ-რა			
		M33	დერმატოპოლიმიოზიტი			
		M34	სისტემური სკლეროზი			
		M35	შემავრთებელი ქსოვილის სხვა სისტემური დაზიანებ-ე-ბი			
	ბ)	ანთებითი პოლიათროპათიები და სპონ-დილოპათიები (აქტივობა II-IIIb.)				
		M05	სეროპოზიტიური რევმატოიდული ართრიტი			
		M06	სხვა რევმატოიდული ართ-რი-ტი			
		M07	ფსორიაზული და ენტერო-პა-თიური ართროპათიები			
		M08	იუვენილური ართრიტი			
		M10	პო-დაგრა (გამწვავებული, გარ-თულებული პოდაგრუ-ლი სტატუსით)			

		M11	სხვა კრისტალური ართრო-პა-თიები (პიროფოსფატული და კალციუმის ფოსფა-ტე-ბით განპირობებული არ-თ-რო-პათიები)			
		M12	სხვა სპეციფიკური ართრო-პა-თიები			
		M45	მანკილოზირებული სპონდილიტი			
		M46	სხვა ანთებითი სპონდილო-პა-თიები			
	გ)	მწვავე რევმატიზმი და გულის ქრონი-კუ-ლი რევმატული ავადმყოფობები (აქ-ტი-ური ფაზა (რევმატული ცხელ-ე-ბა), კომისუროტ. და პროტეზირ. შემ-დგომი პერიოდი)				
		I00-I02	მწვავე რევმატიზმი			
		I05-I09	გულის ქრონიკული რევმა-ტული ავადმყოფობები			
14	ტოქსიკოლოგია					
	ა)	ალკოჰოლის ტოქსიური ეფექტი		68	64	60
		T51.0	ალკოჰოლის ტოქსიური ეფ-ექ-ტი (ეტანოლი)			
		T51.9	სპირტის ტოქსიური ეფექ-ტი, დაუზუსტებელი			
	ბ)	სამკურნალწამლო საშუალებებით, მე-დი-კამენტებით, ბიოლოგიური ნივთი-ერ-ე-ბებით მოწამვლა და ძირითადად არასამედიცინო დანიშნულების სუბ-ს-ტან-ციების ტოქსიური ეფექტები		194	175	87
		T36	სისტემური ანტიბიოტიკებით მოწამვლა			
		T39	არაოპიოიდური ანალგე-ზი-უ-რი, სიცხის დამწევი და ან-ტ-ირევმატიული საშუა-ლ-ებ-ე-ბ-ით მოწამვლა			
		T42.3	ბარბიტურატებით მოწამვლა			
		T42.4	ბენზოდიაზეპინებით მოწამვლა			
		T43	ფსიქოტროპული წამლებით მოწამვლა			
		T45	უპირატესად სისტემური და ჰემატოლოგიური საშუალებებით მოწამვლა			
		T46	მოწამვლა იმ ნივთიერე-ბე-ბით, რომლებიც პირველ-დად მოქმედებენ გულ-სი-სხ-ლმარღვთა სისტემაზე			
		T51.1	მეთანოლის ტოქსიური ეფ-ექ-ტი			
		T52	ორგანული გამხსნელების ტო-ქ-სიური ეფექტი			
		T53	ალიფატური და არომა-ტუ-ლი ნახშირწყალბადების ჰა-ლო-გენ-ური დერივატების ტო-ქსი-ური ეფექტი			

		T54	კოროზიული ნივთიერების ტოქსიური ეფექტი			
		T56	ლითონების ტოქსიური ეფ-ექ-ტი			
		T57	სხვა არაორგანული ნივთი-ერებების ტოქსიური ეფ-ექ-ტი, დაუზუსტებელი			
		T58	ნახშირჟანგის (ნახშირბადის მონოქსიდის) ტოქსიური ეფ-ექტი			
		T59	სხვა აირების, ჭვარტლისა და გამონაბოლქვის ტოქსი-უ-რი ეფექტები			
		T60	პესტიციდების ტოქსიური ეფექტი			
		T62	საკვების სახით მიღებული სხვა მავნე ნივთიერებების ტო-ქ-სიური ეფექტი			
		T63	შხამიან ცხოველთან კონ-ტაქ-ტის ტოქსიური ეფექტი			
		T64	აფლატოქსინისა და საკვე-ბის სხვა მიკოტოქსინური მინარე-ვე-ბის ტოქსიური ეფ-ექ-ტი			
15	უროლოგია					
	ა)	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით		1480	1317	129 4
		N20	თირკმლის და შარდსაწვე-თის კენჭები (ობსტრუქციუ-ლი ურ-ო- პათია)			
		S37.0	თირკმლის დაზიანება			
		Q62	თირკმლის მენჯის თანდა-ყო-ლ- ილი ობსტრუქციული დე-ფექტები და შარდსა-წვე-თის თან-დაყოლილი მანკები (ობსტრუქციული ურო-პა- თია)			
		S37.8	მენჯის სხვა ორგანოების და-ზიანება			
		S38.0	გარეთა სასქესო ორგანოების ზეწოლით დაზიანება			
		N40	პროსტატის ჰიპერპლაზია (შა-რ-დის შეკავება, მაკრო-ჰე-მა-ტუ-რია)			
		S37.2	შარდის ბუშტის დაზიანება			
		S37.1	შარდსაწვეთის დაზიანება			
		S36.8	სხვა ინტრააბდომინალური ორგა- ნოების დაზიანება (პე-რი-ტონეუმის, რეტროპე-რი-ტო-ნეუმის)			
	ბ)	ოპერაციები ადგილობრივი გაუტკივა-რე-ბით		452	406	347
		N 23	დაუზუსტებელი თირკმლის ჭვალი (ცისტოსკოპია, კათე-ტე-რი-ზაცია, ურეთერო-რენო-ს-კოპია)			
		№47	პარაფიმოზი			
		№44	სათესლე ჯირკვლის შემოგ-რე-ხა			
		R33	შარდის შეკავება (ოპერაცია-			

		ეპიდისტოსტომია)			
	გ)	ოპერაცია-ტროაკარული ეპიდისტოსტომია/კათეტერიზაცია	72	66	58
		R33 შარდის შეკავება			
16	ქირურგია				
	ა)	IV სირთულის ოპერაციები	2650	2463	222 7
		A48.0 აიროვანი განგრენა			
		S25.0 გულმკერდის აორტის და-ზი-ანება			
		S25.1 უსახელო ან ლავიწქვეშა არ-ტე-რის დაზიანება			
		S25.2 ზედა ღრუ ვენის დაზიანება			
		S25.3 უსახელო ან ლავიწქვეშა ვენის დაზიანება			
		S25.4 ფილტვის სისხლძარღვების დაზიანება			
		S25.7 გულმკერდის სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანება			
		S26 გულის დაზიანება			
		S27.3 ფილტვის სხვა დაზიანებები (სისხლის მასიური დანა-კარ-გით)			
		S27.4 ბრონქის დაზიანება			
		S27.5 ტრაქეის გულმკერდის ნაწი-ლის დაზიანება			
		K56 გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია			
		S27.7 გულმკერდის შიგა ორგა-ნო-თა მრავლობითი დაზიანება			
		S27.8 სხვა დაუზუსტებელი გულ-მ-კერ- დის შიგა ორგანოთა და-ზიანება			
		K25 კუჭის წყლული (გართუ-ლე-ბუ-ლი დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)			
		K26 თორმეტგოჯა ნაწლავის წყლუ-ლი (გართულებული დე- კომპენსირებული პილოროსტენოზით)			
		K27 პეპტიური წყლული, დაუ-ზუ-ს- ტებელი ლოკალიზა-ციით (გართულებული დე-კო-მ-პენ- სირებული პილორო-სტე-ნო-ზით)			
		S36.7 მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი დაზიანება			
		K85 მწვავე პანკრეატიტი			
		S36.1 ღვიძლის ან ნაღვლის ბუშ-ტის დაზიანება			
		S36.2 პანკრეასის დაზიანება			
		K65.0 მწვავე პერიტონიტი (გავ-რ-ცე-			

		ლებული)			
ბ)	III სირთულის ოპერაციები		1276	1172	1046
	A48.0	აიროვანი განგრენა (კერის რა-დ-იკალური მოცილებით)			
	S36.0	ელენთის დაზიანება			
	S36.9	მუცლის ღრუს დაუზუსტებელი ორგანოს დაზიანება			
	K43.0	ვენტრალური ჩაჭედილი თი-ა-ქარი განგრენის გარეშე			
	K45.0	მუცლის სხვა დაზუსტებ-ული ჩაჭედილი თიაქარი გან-გრენის გარეშე (დიდი ზო-მის ან გიგანტური)			
	I70.2	კიდურების არტერიების ათ-ე-რო-სკლეროზი [ათერო-სკლე-როზული განგრენა]			
	E10.5	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი პერი-ფე-რი-ული ცირკულაციური გარ-თულებებით [დიაბე-ტუ-რი განგრენა]			
	E11.5	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი პერიფე-რიუ-ლი ცირკულაციური გარ-თულებებით [დიაბე-ტუ-რი განგრენა]			
	E12.5	კვების დარღვევასთან და-კავ-შირებული შაქრიანი დი-ა-ბეტი პერიფერიული ცირ-კუ-ლაციური გართულებ-ებით [დიაბეტური განგრე-ნა]			
	E13.5	სხვა დაზუსტებული შაქ-რია-ნი დიაბეტი პერიფ-ერი-ული ცირკულაციური გარ-თუ-ლე-ბებით [დიაბეტური გან-გრენა]			
	E14.5	დაუზუსტებელი შაქრიანი დი-აბეტი პერიფერიული ცირ-კულარული გართულ-ებებ-ით [დიაბეტური გან-გრე-ნა]			
	K25.1	კუჭის წყლული პერფორა-ციით			
	K26.1	თორმეტგოჯას წყლული პე-რ-ფო-რაციით			
	S36.3	კუჭის ტრავმული დაზიანება			
	S36.4	წვრილი ნაწლავის ტრავმუ-ლი დაზიანება			
	S36.5	კოლინჯის ტრავმული და-ზი-ანება			
	S36.6	სწორი ნაწლავის ტრავმული დაზიანება			
	K65.0	მწვავე პერიტონიტი (ადგი-ლო-ბრივი)			
	K80.0	ნადვლის ბუშტის კენჭი მწვა-ვე			

			ქოლეცისტიტით (ჩი-რ-ქოვანი, განგრენული)			
		K81.0	მწვავე ქოლეცისტიტი (ჩი-რ-ქოვანი, განგრენული)			
		K40.4	საზარდულის თიაქარი გან-გრე-ნით			
		K41.4	ბარძაყის ცალმხრივი ან და-უ-ზუსტებელი თიაქარი გან-გრე-ნით			
		K42.1	ჭიპის თიაქარი განგრენით			
		K43.1	ვენტრალური თიაქარი გან-გრე-ნით			
		K45.1	მუცლის სხვა დაზუსტებული თიაქარი განგრენით			
		K40.3	საზარდულის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭე-დი-ლი თიაქარი განგრენის გა-რე-შე			
		K41.3	ბარძაყის ცალმხრივი ან და-უ-ზუსტებელი ჩაჭედილი თი-ა-ქარი განგრენის გარეშე			
		K42.0	ჭი-პის ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე			
		K45.0	მუცლის სხვა დაზუსტებული ჩაჭედილი თიაქარი გან-გრე-ნის გარეშე			
		S27.0	ტრავმული პნევმოთორაქსი			
		S27.1	ტრავმული ჰემოთორაქსი			
		S27.2	ტრავმული ჰემოპნევმოთორაქსი			
		S27.3	ფილტვის სხვა დაზიანებანი			
		S27.6	პლევრის დაზიანება			
		S27.9	დაუზუსტებელი გულ-მკერ-დის შიგა ორგა-ნო-თა დაზი-ა-ნება			
		S29	გულმკერდის სხვა და და-უ-ზუსტებელი დაზიანებანი			
		K92.0	ჰემატემეზისი			
		K92.1	მელენა			
		K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი			
	გ)	II სირთულის ოპერაციები და კონსერ-ვა-ტული მკურნალობა		647	595	508
		K35.9	მწვავე აპენდიციტი, დაუ-ზუს-ტებელი (კატარული, ფლე-გ-მონური, განგრენული)			
		K92.0	ჰემატემეზისი (კონსერვატული მკურნალობა)			
		K92.1	მელენა (კონსერვატული მკუ-რ-ნა-ლობა)			
		K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი (კონსერვატული მკურნალობა)			

		K85	მწვავე პანკრეატიტი (კონ- სერვატული მკურნალობა)			
17	ყბა-სახის ქირურგია					
	ა)	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით		619	573	
		S02.4	ზედა ყბის მოტეხილობა			
		S02.7	მრავლობითი მოტეხი-ლო-ბე-ბი, რომლებიც მოიცავს ქა-ლა-სა და სახის ძვლებს			
		S02.6	ქვედა ყბის მოტეხილობა			
		K10.2	ყბების ანთებითი დაზი-ანე-ბები (პირის ღრუს ფსკერის, ყბის-ქვეშა, ყბაყურსადეჭი, სა-ფეთქლის მიდამოს ფლე-გმო-ნები, რეტროზულბა-ლუ- რი და ხახის გვერდ.მიდამ. აბ- სცესები)			
	ბ)	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარების გარეშე		208	190	
		S02.4	ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა			
		S02.6	ქვედა ყბის მოტეხილობა			
		S02.7	მრავლობითი მოტეხილო-ბ-ები, რომლებიც მოიცავს ქა-ლასა და სახის ძვლებს			
18	ჰემატოლოგია					
	ა)	თერაპია		654		
		D69.3	იდიოპათიური თრომბოცი-ტო- პენიური პურპურა			
		D61.8	სხვა დაზუსტებული აპლ-ა-ზი-ური ანემიები			
		D55	ფერმენტული დარღვევებით გამოწვეული ანემიები			
		D56	თალასემია			
		D57	ნამგლისებურ-უჯრედული ანემია			
		D58	სხვა მემკვიდრული ჰემო-ლი-ზური ანემიები			
		D59	შეძენილი ჰემოლიზური ან-ემ-იები			
	ბ)	ქირურგიული მკურნალობა – სპლე-ნექ-ტომია		1260		
		D69.3	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა			
		C94.7	სხვა დაზუსტებული ლეი-კე-მია			
		D55	ფერმენტული დარღვევებით გამოწვეული ანემიები			
		D56	თალასემია			
		D57	ნამგლისებურ-უჯრედული ანემია			
		D58	სხვა მემკვიდრული ჰემო-ლი-ზური ანემიები			
		D59	შეძენილი ჰემოლიზური ანემიები			

ზოგადი ამბულატორიული მომსახურება
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 24

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2. პროგრამის ამოცანაა ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა მცირადლირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება თვითმმართველ ქალაქებში, ქალაქებსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების-მუნიციპალიტეტების ცენტრებში ფაქტობრივად მცხოვრები, საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები:

ა) 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები;

ბ) 60 წლის და უფროსი ასაკის პირები;

გ) 6-დან 60 წლამდე დიაბეტით დაავადებული და ინკურაბელური პაციენტები.

2. პროგრამის მომსახურებით ვერ ისარგებლებენ „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლები.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ამბულატორიულ მომსახურებას დანართი_24.1-ის და დანართი_24.2-ის შესაბამისად;

ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა ამბულატორიულ მომსახურებას დანართი_24.1-ის და დანართი_24.3-ის შესაბამისად.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა ამბულატორიული მომსახურებაში მონაწილე დაწესებულებების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის მეთოდით. ბიუჯეტის გაანგარიშების საფუძველია ერთ სულზე გამოყოფილი ფიქსირებული ბიუჯეტი, რომელიც თვეში შეადგენს:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისათვის – 2.0 ლარს;

ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისათვის – 1.90 ლარს;

გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისათვის – 2.80 ლარს.

2. დაწესებულებებისათვის მომსახურების ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება რეგისტრირებული მოსარგებლების შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

პროგრამის ფარგლებში მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 10,555.4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

1. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. (14.06.2011 N 240)

2. პროგრამის ფარგლებში არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლედ ითვლება მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის მიმწოდებელთან.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლეს პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციისათვის აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს შორის იმ პირობით, რომ მოსარგებლის სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს პროგრამის მოქმედების პერიოდი.

2. პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა განახორციელონ პროგრამის მოსარგებლეთა ხელახალი რეგისტრაცია და პროგრამის განმახორციელებელთან ინფორმაციის წარდგენა პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების დაწყებამდე. (14.06.2011 N 240)

3. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სამედიცინო ვაუჩერით მოსარგებლეს სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურების მოცულობაზე.

4. სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზის ფორმირება/განახლება ხორციელდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სამოქალაქო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით.

5. სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზაში დუბლირების აღმოჩენის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია წარმოადგინოს პაციენტის წერილობითი თანხმობა სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

დანართი_24.1 – ამბულატორიული მომსახურების საერთო პირობები

1. ექიმთან/ექთანთან ვიზიტი;
2. სამედიცინო მომსახურების ახალი მომხმარებლის/პაციენტის რეგისტრაცია და შეფასება შემდგომი მეთვალყურეობის დაწესების მიზნით;
3. ექიმის ან ექთნის ვიზიტი ბინაზე წელიწადში 4-ჯერ მუდმივად მწოლიარე (გადაადგილების უნარს მოკლებული) პირებთან;
4. ინკურაბელურ პაციენტებთან ბინაზე ნებისმიერი გამოძახება ხდება უფასოდ უბნის ექიმის/ოჯახის ექიმის მიერ განსაზღვრული საჭიროების შესაბამისად;
5. მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკა კლინიკური სიმპტომო-კომპლექსისა და აუცილებელი, მინიმალური ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე და მართვა;
6. ლაბორატორიული გამოკვლევები ექსპრეს დიაგნოსტიკური მეთოდით: შარდის ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, ჰემოგლობინი, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე;

7. ფტიზიატრიული, ფსიქიატრიული და ენდოკრინული პაციენტების გამოვლენა და რეფერალი სპეციალიზებულ დაწესებულებაში.
8. გავრცელებული დაავადებების გართულებების მართვა;
9. ურგენტული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელი მდგომარეობების დროს.
10. პალიატიური ზრუნვა;
11. ინკურაბელური და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მეთვალყურეობა;
12. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების უზრუნველყოფა (სისხლის შრატში კრეატინინის დონის განსაზღვრა - 6 თვეში ერთხელ, ელექტროკარდიოგრაფია და თვალის ფსკერის გამოკვლევა - წელიწადში ერთხელ).

დანართი_24.2 – 0–დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების ამბულატორიულ მომსახურების სპეციფიური პირობები

1. იმუნიზაცია და ვაქცინაცია იმუნიზაციის ეროვნული კალენდრის მიხედვით და სამიზნე მოსახლეობის ადექვატური მოცვა;
2. 0–დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მიზნობრივი სამედიცინო მომსახურება, კერძოდ:
 - ა. სამედიცინო მეთვალყურეობა-ფიზიკური განვითარების შეფასება;
 - ბ. სამედიცინო პრობლემათა დროული იდენტიფიკაცია და მართვა;
3. ამბულატორიულ დონეზე სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა.

დანართი_24.3 – ამბულატორიული მომსახურების სპეციფიური პირობები 60 წლისა და უფროს ასაკის პირთა და 6–დან 60 წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული და ინკურაბელური პაციენტებისათვის

1. ქრონიკული დაავადებების მართვა (ჰიპერტონული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, გულის იშემიური დაავადება, ბრონქული ასთმა, ინკურაბელური პაციენტები - IV კლინიკური ჯგუფი);
2. ჰიპერტონული დაავადების გამოვლენა და რეგისტრაცია;
3. ამბულატორიულ დონეზე სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა (გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს N338/ნ ბრძანებით დამტკიცებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა NIV-100/ა-ს (შემდგომში “ფორმა NIV-100/ა”).

დანართი N25

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურება ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 25

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ვეტერანებისათვის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში“ არსებულ საინფორმაციო ბაზაში რეგისტრირებული პირები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) ამბულატორიულ სამედიცინო დახმარებას:

ა.ა) პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების განხორციელებას დაავადებებისა და მათი გართულებათა მიმართ;

ა.ბ) დაავადებათა კონტროლს, დიაგნოსტიკას და პრევენციას;

ა.გ) სამედიცინო დახმარების გაწევას ბინაზე;

ა.დ) საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფის გადაყვანას სტაციონარში.

ბ) სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას:

ბ.ა) სამედიცინო დახმარების გაწევას და ნოზოლოგიების მართვას სტაციონარის ფარგლებში;

ბ.ბ) სტაციონარში კვებით უზრუნველყოფას.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად პროგრამისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 800.0 ათასი ლარით.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

დანართი N26

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება
ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 26

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტიგენტით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან სამხედრო ძალებში გასაწვევ კონტიგენტს დაქვემდებარებული პირები (საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეების არმქონე პირები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები).

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა ამბულატორიულ შემოწმებას დანართი_26.1-ის შესაბამისად;
- ბ) სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა დამატებით სტაციონარულ გამოკვლევებს.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

- 1. სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება ფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ერთ წვევამდელზე 53.0 ლარისა.
- 2. სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევები ფინანსდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

- 1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
- 2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1,051.1 ათასი ლარით, მათ შორის:

- ა) სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი – 850.0 ათასი ლარი;
- ბ) სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი – 201.1 ათასი ლარი.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

სამხედრო სამსახურისათვის წვევამდელის ჯანმრთელობის მდგომარეობის უზარგისობის დადგენისთანავე შეწყდეს წვევამდელის სამედიცინო კვლევა და სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ გამოიცეს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა.

დანართი_26.1 – სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება

- 1. მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება;
- 2. დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების უზრუნველყოფა;
- 3. სპეციალისტების კონსულტაცია (თერაპევტი, ოტორინოლარინგოლოგი, ქირურგი, ფსიქიატრი, დერმატოვენეროლოგი, ოფთალმოლოგი, სტომატოლოგი, ნევროპათოლოგი, ფთიზიატრი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი);
- 4. დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები;

- ა. სისხლის ანალიზი (მოკლე);
- ბ. შარდის საერთო ანალიზი;
- გ. ელექტროკარდიოგრაფია;
- დ. სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა;
- ე. ფლოროგრაფია;
- ვ. აივ ანტისხეულების (ანტიგენის) განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით;
- ზ. HBsAG განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით;
- თ. HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით;
- ი. ათაშანგის დიაგნოსტიკა (ექსპრეს მეთოდით).

განმარტება: მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიის მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება ამბულატორიული გამოკვლევის მოცულობა ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან.

დანართი N27

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ორგანიზაციული კოდი - 35 12 02 27

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას - ინსულინისა და მისი ანალოგების შესყიდვა;
- ბ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას - ინსულინის, ინსულინის ანალოგების, გლუკაგონის, შპრიც-კალმისტრებისა და შესაბამისი ნემსების შესყიდვა ბავშვთა (18 წლამდე ასაკის პირები), ასევე 18 წლისა და უფროსი ასაკის დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი;
- გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას - ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტიინჰიბიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა;
- დ) ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას - ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებისა და საშუალებების შესყიდვა;
- ე) ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი ცნობისა და რეცეპტის ფორმა N1-ის შესყიდვა;
- ვ) ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას - იმუნოსუპრესული მედიკამენტების შესყიდვა;
- ზ) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას - ადიურეზული ჰორმონის შესყიდვა;

თ) ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფას - ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის შესყიდვა;

ი) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფას - სამკურნალო საკვები დანამატის შესყიდვა;

კ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფას - პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა;

ლ) ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფას - ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა;

მ) სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირებას, შენახვასა და გაცემას - სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატების) საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებზე (მათ შორის აფთიაქები); სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატები) ავადმყოფებზე გაცემა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მეშვეობით (მათ შორის აფთიაქების); ნარკოტიკული საშუალებების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ტრანსპორტირება ბადრაგი-რების მეშვეობით.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

პროგრამის მოსარგებლეთათვის აღნიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდება უსასყიდლოდ (თანაგადახდის გარეშე) პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. მედიკამენტების, საკვები დანამატისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. პროგრამის მოსარგებლეთათვის მედიკამენტებისა და საკვები დანამატის მიწოდება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, გარდა „ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის“, „ინკუბაციური პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ და „ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის“ კომპონენტებისა, რომლებიც ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით. (11.03.2011 N 117)

3. მატერიალიზებული ვაუჩერის ფორმასა და მისი გაცემის წესს განსაზღვრავს ვაუჩერის გაცემაზე პასუხისმგებელი დაწესებულება.

4. ამ დანართის მე-3 მუხლის „ა“, „დ“, „ვ“, „ზ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესყიდული საქონლის ვაუჩერის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი სპეციფიკური მედიკამენტები და/ან საკვები დანამატი ამავე პროგრამის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლისაგან. (11.03.2011 N 117)

5. მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი ცნობისა და რეცეპტის ფორმა №1-ის გაცემას უზრუნველყოფს განმახორციელებელი „სოფლის ექიმისა“ და „ზოგადი ამბულატორიის“ პროგრამებით განსაზღვრული შესაბამისი მიმწოდებლებისათვის. (11.03.2011 N 117)

6. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების გაცემა ვაუჩერის მფლობელზე ხორციელდება „ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვის“ პროგრამის შესაბამისი მიმწოდებლის მიერ. (11.03.2011 N 117)

7. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების გაცემა ვაუჩერის მფლობელზე ხორციელდება „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში გამოვლენილი შესაბამისი მიმწოდებლის მიერ. (11.03.2011 N 117)

8. მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების გაცემა ვაუჩერის მფლობელზე ხორციელდება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. (14.06.2011 N 240)

9. მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების გაცემა ვაუჩერის მეშვეობით ხორციელდება „ნარკომანიის“ პროგრამის ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების და სამედიცინო მეთვალყურეობის უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში გამოვლენილი შესაბამისი მიმწოდებლის მიერ. (11.03.2011 N 117)

10. მე-3 მუხლის „ბ“, „გ“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მედიკამენტების მიწოდებას შესაბამისი პროგრამების მიმწოდებლებისათვის უზრუნველყოფს ამ პროგრამის განმახორციელებელი. (11.03.2011 N 117)

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12,157.4 ათასი ლარით დანართი_27.1-ის შესაბამისად.

მუხლი 7. მომსახურების მიმწოდებელი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მედიკამენტების, საკვები დანამატისა და მომსახურების შესყიდვას 2011 წლის პირველ აპრილამდე უზრუნველყოფს სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ხოლო 2011 წლის პირველი აპრილიდან – ამ ნაწილში მისი უფლებამონაცვლე სამინისტრო. (31.03.2011 N 146)

2. მატერიალიზებული ვაუჩერების ბეჭდვას, მატერიალიზებული ვაუჩერის მოსარგებლეების აღრიცხვასა და მათთვის ვაუჩერების გაცემას უზრუნველყოფს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო საკუთარი ადმინისტრაციული ასიგნებების ფარგლებში, შემდეგი კომპონენტების მიხედვით: (11.03.2011 N 117)

ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;

ბ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;

გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;

დ) ორგანოგდანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;

ე) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;

ვ) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი;

ზ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა რეგულირდება „ნარკოტიკული ანალგეტიკებით სიმტომურ მკურნალობაზე მყოფი კონტიგენტის საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებების შენახვის, აღრიცხვის, დანიშვნის, გამოწერის, გაცემისა და გამოყენების დროებითი წესების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2000 წლის 13 მარტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 15 მარტის N 32/ო-1102 ერთობლივი ბრძანებით. ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვა რეგულირდება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999 წლის 29 ნოემბრის „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ“ №465 ბრძანებით.

2. ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტები მიეწოდება: (14.06.2011 N 240)

ა) ანტირაბიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილ შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებს;

ბ) მოსახლეობის ურგენტული მომსახურების ფარგლებში გამოვლენილ შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებს;

გ) სპეცდაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებს;

დ) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი და სტაციონარული დახმარების ფარგლებში გამოვლენილ შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებს.

21. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ინფორმაცია ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის ხარჯვის შესახებ წარუდგინოს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოველთვიურად, არა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა. (14.06.2011 N 240)

დანართი_27.1 – პროგრამის ბიუჯეტი

კომპონენტი	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	4,678.2
დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	549.3
ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,699.5
ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	780.0
ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,005.9
უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	270.0
ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	980.9
ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა	537.3
მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	149.9
სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	706.4
ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა	800.0
სულ	12,157.4